

სს თურქეთის იშ ბანკის ბათუმის ფილიალი

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნასთან ერთად

*დაარსებიდან 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის*

# სს თურქეთის იმ ბანკის ბათუმის ფილიალი

## ფინანსური ანგარიშგება

დაარსებიდან 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

### სარჩევი:

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე.....	3
დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა .....	4

### ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	5
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	6
ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ.....	7
ანგარიშგება ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ.....	8

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია .....	9
2. მომზადების საფუძვლები .....	9
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა .....	10
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები .....	23
5. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	24
6. სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში.....	25
7. სხვა მოთხოვნები.....	25
8. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები.....	26
9. მოგების გადასახადი.....	26
10. ბანკების მიმართ არსებული ვალდებულებები .....	27
11. კლენტების ანგარიშები .....	28
12. სხვა ვალდებულებები .....	29
13. სავალდებულო კაპიტალი .....	29
14. წმინდა საპროცენტო შემოსავალი .....	30
15. წმინდა საკომისიო შემოსავალი.....	30
16. წმინდა ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან.....	31
17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები .....	31
18. ხელფასები და თანამშრომელთა სარგებელი .....	31
19. გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა .....	32
20. პირობითი ვალდებულებები და აქტივები.....	32
21. ფინანსური ინსტრუმენტები – რისკების მართვა .....	33
22. კაპიტალის მართვა.....	37
23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან .....	37
24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	38

## სს თურქეთის იშ ბანკის ბათუმის ფილიალი

### მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

დაარსებიდან 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

წინამდებარე განაცხადი, რომელიც განხილულ უნდა იქნეს დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობებთან ერთად (მოცემულია მე-4 გვერდზე) მიზნად ისახავს, რომ ერთმანეთისგან განასხვავოს მენეჯმენტისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობა სს თურქეთის იშ ბანკის ბათუმის ფილიალის (შემდეგში - ბანკი) ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით.

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მისი საქმიანობის შედეგებს, ფულადი ნაკადების მოძრაობასა და კაპიტალში განხორციელებულ ცვლილებებს დაარსებიდან 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია, რომ:

- ამოირჩიოს შესაბამისი სააღრიცხვო პრინციპები და თანმიმდევრულად გამოიყენოს ისინი;
- მოახდინოს გონივრული და წინდახედული შეფასებები;
- განაცხადოს მოხდა თუ არა ფასს-ების მოთხოვნების დაცვა, ხოლო არსებითი დარღვევის შემთხვევაში განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადობის პრინციპით, ანუ იმ დაშვებით, რომ ბანკი გააგრძელებს საქმიანობას პროგნოზირებად მომავალში.

მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია, რომ:

- შეიმუშავოს, განახორციელოს და შეინარჩუნოს ეფექტური და ხარისხიანი შიდა კონტროლის სისტემა ბანკის მასშტაბით;
- აწარმოოს და შეინარჩუნოს სათანადო სააღრიცხვო ჩანაწერები, რომელიც საიმედოდ და ზუსტად ასახავს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას ნებისმიერი დროისთვის და რომელიც უზრუნველყოფს, რომ ბანკის ფინანსური ანგარიშგება იყოს ფასს-ებთან შესაბამისობაში;
- შეინარჩუნოს სავალდებულო სააღრიცხვო ჩანაწერები ადგილობრივი კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების დაცვით, იმ იურისდიქციის შესაბამისად რომელშიც ბანკი ფუნქციონირებს;
- იმოქმედოს იმგვარად, რომ უზრუნველყოს ბანკის აქტივების დაცვა; და
- აღმოაჩინოს და აღმოფხვრას თალღითობა და სხვა დარღვევები.

ფინანსური ანგარიშგება დაარსებიდან 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის დირექტორთა საბჭოს სახელით დამტკიცებულია 2013 წლის 17 აპრილს შემდეგი პირების მიერ:

აღმასრულებელი დირექტორი



ბ.სარიბრაჰიმი

ფინანსური დირექტორი

გ.ხუზუნი

## დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს თურქეთის იმ ბანკის ბათუმის ფილიალის მფლობელებსა და დირექტორთა საბჭოს

### დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ჩვენ ჩავატარეთ სს თურქეთის იმ ბანკის ბათუმის ფილიალის (შემდეგში - ბანკი) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას დაარსებიდან 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

### მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მის სამართლიან წარდგენაზე, ასევე ისეთი შიდა კონტროლის სისტემის არსებობაზე, რომელიც ბანკის მენეჯმენტის რწმენით უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობისა თუ შეცდომის შედეგად წარმომობილ არსებით უზუსტობებს.

### აუდიტორთა პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ეთიკის ნორმების დაცვით დავგვემოთ და ჩავატაროთ აუდიტი, რათა მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების საფუძველზე მტკიცებულებების მოპოვებას ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხებისა და ინფორმაციის დადასტურების მიზნით. შერჩეული პროცედურები ეფუძნება აუდიტორის მსჯელობას, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკების შეფასებას. აღნიშნული რისკების შეფასებისას აუდიტორი ითვალისწინებს ბანკის შიდა კონტროლის სისტემას ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარდგენასთან მიმართებაში რათა მოახდინოს პროცედურების დაგეგმვა არსებული გარემოებების შესაბამისად და არა ბანკის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე მოსაზრების გამოთქმის მიზნით. აუდიტი აგრეთვე მოიცავს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პრინციპებისა და დაშვებების სათანადოობის შეფასებას, ასევე ზოგადად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს აუდიტის დასკვნისთვის.

### დასკვნა

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს სს თურქეთის იმ ბანკის ბათუმის ფილიალის ფინანსურ მდგომარეობას 2012 წლის 31 დეკემბრისთვის, ასევე მის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს დაარსებიდან 2012 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

17 აპრილი, 2013

თბილისი, საქართველო

ყანა ზიდიო

სს თურქეთის იშ ბანკის ბათუმის ფილიალი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2012
<b>აქტივები</b>		
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	13,910,729
სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში	6	61,056
სხვა მოთხოვნები	7	15,400
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	8	568,672
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები	9	57,737
<b>სულ აქტივები</b>		<b>14,613,594</b>
<b>ვალდებულებები</b>		
ბანკების მიმართ არსებული ვალდებულებები	10	1,052,128
კლიენტების ანგარიშები	11	960,509
სხვა ვალდებულებები	12	163,873
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>2,176,510</b>
<b>კაპიტალი</b>		
სავალდებულო კაპიტალი	13	12,828,043
დაგროვილი ზარალი		(390,959)
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>12,437,084</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>		<b>14,613,594</b>

ხელმოწერილია დირექტორთა საბჭოს სახელით 2013 წლის 17 აპრილს შემდეგი პირების მიერ:

აღმასრულებელი დირექტორი



ბ.სარიბრაკიმ

ფინანსური დირექტორი

გ.ხუბუნი

9-38 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

გვერდი 5 (38-დან)

სს თურქეთის იშ ბანკის ბათუმის ფილიალი

სრული შემოსავლის ანგარიშება

დაარსებიდან 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	დაარსებიდან 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის
საპროცენტო შემოსავალი	14	231,355
საპროცენტო ხარჯი	14	(1,194)
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>		<b>230,161</b>
საკომისიო შემოსავალი	15	17,565
საკომისიო ხარჯი	15	(3,512)
წმინდა ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	16	(2,296)
<b>წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი</b>		<b>11,757</b>
<b>საოპერაციო შემოსავალი</b>		<b>241,918</b>
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(282,256)
ხელფასები და თანამშრომელთა სარგებელი	18	(233,646)
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	19	(132,093)
ცვეთა	8	(42,619)
<b>საოპერაციო ხარჯები</b>		<b>(690,614)</b>
<b>ზარალი მოგების გადასახადამდე</b>		<b>(448,696)</b>
მოგების გადასახადის სარგებელი	9	57,737
სხვა სრული შემოსავალი		-
<b>პერიოდის სრული ზარალი</b>		<b>(390,959)</b>

ხელმოწერილია დირექტორთა საბჭოს სახელით 2013 წლის 17 აპრილს შემდეგი პირების მიერ:

ადმინისტრაციული დირექტორი  ბ.სარიბრაჰიმ

ფინანსური დირექტორი  გ.ხუბუნი

9-38 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

გვერდი 6 (38-დან)

სს თურქეთის იმ ბანკის ბათუმის ფილიალი

ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ

დაარსებიდან 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	სავალდებულო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
ბალანსი 2012 წლის 13 ივლისს		-	-	-
სავალდებულო კაპიტალის ზრდა	13	12,828,043	-	12,828,043
პერიოდის სრული ზარალი		-	(390,959)	(390,959)
ბალანსი 2012 წლის 31 დეკემბერს		12,828,043	(390,959)	12,437,084

ხელმოწერილია დირექტორთა საბჭოს სახელით 2013 წლის 17 აპრილს შემდეგი პირების მიერ:

აღმასრულებელი დირექტორი



ბ.სარიბრაჰიმ

ფინანსური დირექტორი

გ.ხუბუნი

9-38 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

გვერდი 7 (38-დან)

სს თურქეთის იშ ბანკის ბათუმის ფილიალი

ანგარიშგება ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ

დაარსებიდან 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	დაარსებიდან 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:</b>		
ზარალი მოგების გადასახადამდე		(448,696)
კორექტირებები:		
ცვეთის ხარჯი	8	42,619
დარიცხული პროცენტის წმინდა ცვლილება		857
საოპერაციო ხარჯები		163,873
<b>ფულადი ნაკადების გადინება საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე</b>		
		<b>(241,347)</b>
საოპერაციო აქტივების ზრდა:		
სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში		(61,265)
სხვა მოთხოვნები	7	(15,400)
საოპერაციო ვალდებულებების ზრდა:		
ბანკების მიმართ არსებული ვალდებულებები		1,045,629
კლიენტების ანგარიშები		961,894
<b>ფულადი ნაკადების წმინდა შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან</b>		<b>1,689,511</b>
<b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:</b>		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	8	(598,553)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	8	(12,738)
<b>ფულადი ნაკადების წმინდა გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან</b>		<b>(611,291)</b>
<b>ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:</b>		
შემოდინება სავალდებულო კაპიტალის ზრდიდან	13	12,828,043
<b>ფულადი ნაკადების წმინდა შემოდინება ფინანსური საქმიანობიდან</b>		<b>12,828,043</b>
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		13,906,263
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში		-
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი უცხოურ ვალუტაში არსებულ ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		4,466
<b>ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს</b>	<b>5</b>	<b>13,910,729</b>

ხელმოწერილია დირექტორთა საბჭოს სახელით 2013 წლის 17 აპრილს შემდეგი პირების მიერ:

აღმასრულებელი დირექტორი

ბ.სარიბრაჰიმ

ფინანსური დირექტორი

გ.ხუბუნი

9-38 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

# სს თურქეთის იმ ბანკის ბათუმის ფილიალი

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

დაარსებიდან 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ქართულ ლარში)

### 1. ზოგადი ინფორმაცია

სს თურქეთის იმ ბანკის ბათუმის ფილიალი („ბანკი“) დაარსდა 2012 წლის 13 ივლისს როგორც უცხოური საბანკო დაწესებულების ფილიალი, სარეგისტრაციო ნომრით: #445413375. ბანკმა მოიპოვა საბანკო საქმიანობის ლიცენზია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ.

ბანკის მთავარ საქმიანობას შეადგენს კომერციული და საცალო საბანკო მომსახურება, მათ შორის: ფულადი გზავნილები, უცხოური ვალუტით ვაჭრობა, დეპოზიტების განთავსება და ა.შ. ბანკს არ ჰქონდა გაცემული სესხი 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, თუმცა როგორც 24-ე შენიშვნაშია მოცემული (საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები) ბანკმა დაიწყო სესხების გაცემა, რაც განიხილება ბანკის ერთ-ერთ მთავარ საქმიანობად.

ბანკის იურიდიული მისამართია ლ. ასათიანის 1 / რუსთაველის 25, ბათუმი, საქართველო. ბანკს ასევე გააჩნია ერთი მომსახურების ცენტრი ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში.

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის მფლობელია:

31 დეკემბერი  
2012, %

პირველი დონის მფლობელი	
სს „თურქეთის იმ ბანკი“	100%
<b>სულ</b>	<b>100%</b>

ბანკის საბოლოო აქციონერებს შეადგენენ: „იმ ბანკის თანამშრომელთა საპენსიო ფონდი“ (41%), თურქეთის სახალხო რესპუბლიკური პარტია (28%) და 5%-ზე ნაკლები წილის მფლობელი სხვა აქციონერები (ჯამში 31%).

ბანკის დირექტორთა საბჭომ მიმდინარე ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დაამტკიცა 2013 წლის 17 აპრილს და გააჩნია ცვლილებების შეტანის უფლება გამოცემის შემდეგ.

### 2. მომზადების საფუძვლები

#### შესაბამისობის განაცხადი

მიმდინარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში „ფასს“-ების) შესაბამისად, რომელიც მიღებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა წარმოდგენილია მე-3 შენიშვნაში.

#### შეფასების საფუძვლები

მიმდინარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარებისა, რომელიც ეფუძნება რეალურ ღირებულებას.

ბანკი თავის ბუღალტრულ ჩანაწერებსა და აღრიცხვას აწარმოებს ქართულ ლარში ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, როგორც ეს საქართველოს კანონმდებლობით მოითხოვება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს პერიოდს 13 ივლისიდან (დაარსებიდან) 2012 წლის 31 დეკემბრამდე. ბანკის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

## სს თურქეთის იმ ბანკის ბათუმის ფილიალი

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

დაარსებიდან 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ქართულ ლარში)

### 2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ფინანსური ანგარიშგების ფას-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს ბანკის მენეჯმენტისგან რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს საუკეთესო სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მსჯელობის შედეგად მიღებული მნიშვნელოვანი დაშვებები და შეფასებები, შედეგებთან ერთად წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში.

#### ფუნქციონირებადი საწარმო

მიმდინარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების გათვალისწინებით, რომ ბანკი ფუნქციონირებადია და გააგრძელებს საქმიანობას პროგნოზირებად მომავალში. მენეჯმენტისა და მფლობელებს განზრახული აქვთ, რომ უფრო მეტად განავითარონ ბანკის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ბანკი სათანადოდ შეესაბამება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებას.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ სხვაგვარად არაა აღნიშნული.

#### ფინანსური ინსტრუმენტები

##### შეფასების ძირითადი ტერმინები

ფინანსური ინსტრუმენტები, მათი კლასიფიკაციისა და მიხედვით წარმოდგენილია რეალური ღირებულებით, თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, როგორც ქვემოთაა აღწერილი:

**რეალური ღირებულება** განისაზღვრება, როგორც ფასი, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადახდება ვალდებულებების გადაცემისას ჩვეულებრივი ოპერაციისას ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისათვის. რეალური ღირებულება არის მიმდინარე შეთავაზებული ღირებულება ფინანსური აქტივებისათვის ან მიმდინარე მოთხოვნილი ფასი ფინანსური ვალდებულებებისათვის, რომლებიც კოტირებულია აქტიურ ბაზრებზე. ფინანსური ინსტრუმენტი განიხილება როგორც აქტიურ ბაზარზე კოტირებული თუ კოტირებული ფასები შესაძლებელია ადვილად და რეგულარულად მივიღოთ გაცვლით ან სხვა გზით და წარმოადგენს ფაქტიურ ფასს რეგულარულად განხორციელებულ საბაზრო ოპერაციებზე გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით.

**თვითღირებულება** არის გადახდილი ფული ან ფულის ექვივალენტი, ან უშუალოდ შეძენის მომენტისთვის აქტივის შესაძენად გაწეული სხვა დანახარჯის რეალური ღირებულება, რაც მოიცავს ოპერაციის დანახარჯებს.

**ამორტიზებული ღირებულება** არის ფინანსური ინსტრუმენტის თავდაპირველად აღიარებულ ოდენობას გამოკლებული ძირის გადახდები, დამატებული დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის აღნიშნულ ოდენობას აკლდება ასევე გაუფასურების ზარალი. დარიცხული პროცენტი მოიცავს ტრანსაქციის ღირებულების ამორტიზაციას, რომელიც გადავადებული იქნა თავდაპირველი აღიარებისას და სხვა ნებისმიერ ზედმეტ ან ნაკლებ გადასახადს ვადის შესაბამისად ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი არ არის ცალე წარმოდგენილი და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის ღირებულებაში.

**ტრანზაქციის ხარჯი** მოიცავს დამატებით ხარჯებს, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გაცემას ან გასხვისებას. დამატებითი ხარჯია ისეთი ხარჯი, რომელიც არ იქნებოდა გაწეული თუ ტრანსაქცია არ განხორციელდებოდა.

## სს თურქეთის იმ ბანკის ბათუმის ფილიალი

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

დაარსებიდან 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ქართულ ლარში)

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ტრანზაქციის ხარჯი მოიცავს გასამრჯელოებსა და საკომისიოებს, რომლებსაც უხდებიან აგენტებს (მათ შორის თანამშრომლები, რომლებიც მოქმედებენ როგორც გაყიდვების აგენტები), მრჩვეელებს, ბროკერებსა და დილერებს, მარეგულრებელი ორგანოებისა და საფონდო ბირჟის მიერ დაწესებულ ბეგარას, სატრანსფერო გადასახდსა და ვალდებულებებს. ტრანზაქციის ხარჯი არ მოიცავს სესხის დისკონტსა თუ ფასნამატს, დაფინანსების ხარჯებსა და შიდა ადმინისტრაციულ ან შენახვის ხარჯებს.

#### (a) ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება ან როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებაში ან ზარალში, სესხები და მოთხოვნები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, ან გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. ბანკი განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას.

#### რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებაში ან ზარალში

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი, მოგებაში ან ზარალში ასახვით როდესაც ფინანსური აქტივი გამიზნულია სავაჭროდ ან არის განსაზღვრული როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ისინი აღიარებულია რეალური ღირებულებით, ხოლო ხელახალი შეფასებისად წარმოშობილი შემოსავალი ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში. ბანკს არ გააჩნია ვაჭრობისათვის განკუთვნილი აქტივები და არც ნებაყოფლობით აქვს კლასიფიცირებული ფინანსური აქტივები, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებაში ან ზარალში.

#### დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან გასაზღვრადი გადასახდელებითა და ფიქსირებული დაფარვის ვადებით კლასიფიცირებულია როგორც დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები როდესაც ბანკს გააჩნია მისი დაფარვის ვადამდე შენარჩუნების სურვილი და შესაძლებლობები.

#### სესხები და მოთხოვნები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზრებზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შემქნასა ან გაცემასთან ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

#### გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები

არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომელსაც არ მოიცავს ზემოთ ჩამოთვლილი კატეგორიები, კლასიფიცირდება როგორც გასაყიდად არსებული და მოიცავს ბანკის სტრატეგიულ ინვესტიციებს არაშვილობილ საწარმოებში, ასოციაციებში ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში ასევე კორპორაციულ ობლიგაციებში. ისინი შეფასებულია რეალური ღირებულებით, ხოლო ცვლილებები რეალურ ღირებულებაში ჩვეულებრივ აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და აკუმულირდება გასაყიდად არსებულ რეზერვში. თუ არსებობს გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივის რეალური ღირებულების მნიშვნელოვანი ან ხანგრძლივი შემცირება (რაც გაუფასურების ობიექტურ მტკიცებულებას წარმოადგენს), გაუფასურების მთლიანი ღირებულება, სხვა სრული შემოსავალში უკვე აღიარებული ნებისმიერი ოდენობის ჩათვლით, აღიარდება მოგება-ზარალში.

გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივების შესყიდვები და გაყიდვები აღიარდება შეძენის თარიღისათვის, ვაჭრობისა და შესყიდვის თარიღებს შორის რეალური ღირებულების ნებისმიერი ცვლილება აღიარდება გასაყიდად გამიზნულ რეზერვებში. გაყიდვისას, სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული კუმულაციური შემოსულობა ან ზარალი, რეკლასიფიცირებულია გასაყიდად არსებული რეზერვებიდან მოგება-ზარალში. ბანკს არ აქვს აქტივები კლასიფიცირებული, როგორც გასაყიდად არსებული.

## სს თურქეთის იმ ბანკის ბათუმის ფილიალი

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

დაარსებიდან 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ქართულ ლარში)

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

#### ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ბანკი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის ბანკიდან გასვლა; ან (ii) ბანკი არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

#### (b) ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც ბანკების მიმართ არსებული ვალდებულებები და მომხმარებლების ანგარიშები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეჭებული ტრანსაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

#### ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ბანკი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება, ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

#### (c) ურთიერთგადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგება ნეტო თანხა, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება და სურვილი აღნიშნული არსებითი თანხების ურთიერთგადახურვისთვის.

#### (d) ფასს 7 რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფასს 7 მოითხოვს სპეციალურ განმარტებით შენიშვნებს, რომლის მიხედვითაც რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია უნდა მოხდეს რეალური ღირებულების იერარქიის მიხედვით, რომელიც წარმოაჩენს რეალური ღირებულების შეფასებისას გამოყენებულ განსხვავებულ მეთოდებს. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

1. აქტიური ბაზრის კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი) იდენტური აქტივებისა და ვალდებულებებისათვის (დონე 1);
2. პირველ დონეში შესული კოტირებული ფასების გარდა აქტივებისა და ვალდებულებების პირდაპირ (ფასების მიხედვით) ან ირიბად (ფასებიდან გამომდინარე) შეფასება სხვა დაკვირვებად ბაზრებზე არსებული ფასების მიხედვით (დონე 2);
3. ისეთი აქტივების ან ვალდებულებების შეფასება, რომელიც არ არის წარმოდგენილი დაკვირვებად ბაზარზე (კალკულაცია დაკვირვების გარეშე) (დონე 3).

## სს თურქეთის იშ ბანკის ბათუმის ფილიალი

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

დაარსებიდან 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ქართულ ლარში)

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

რეალური ღირებულების იერარქიის დონე, რომელშიც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება არის კატიგორიზირებული, განსაზღვრულია ყველაზე დაბალი დონის მიხედვით რომელიც მნიშვნელოვანია რეალური ღირებულების შეფასებისათვის. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები მთლიანობაში კლასიფიცირებულია ამ სამი დონიდან მხოლოდ ერთში.

ბანკს არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად ისინი არაა წარმოდგენილი ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 7-ის რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

#### (e) ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურება

გაუფასურებით მიღებული ზარალი ტარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მათი წარმოქმნისას ერთი ან მეტი გარემოების („ზარალის შემთხვევა“) დადგომის შემთხვევაში, რაც ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ ხდება და რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან მათი ჯგუფის სავარაუდო სამომავლო ფინანსური ნაკადების დროსა და ვადიანობაზე, რისი საიმედო განსაზღვრაც შესაძლებელია. იმისთვის, რომ დადგინოს არის თუ არა ფინანსური აქტივი გაუფასურებული, ბანკი ძირითადად ისეთ ფაქტორებს განიხილავს, როგორცაა მისი ვადაგადაცილების სტატუსი და არსებობის შემთხვევაში მისი უზრუნველყოფის რეალიზაციის პოტენციალი.

ქვემოთ წარმოდგენილია სხვა ძირითადი კრიტერიუმები, რომლებიც ასევე გამოიყენება იმის დასადასტურებლად რომ არსებობს გაუფასურების ზარალის მიღების ობიექტური მტკიცებულება:

- ნებისმიერი შენატანზე ვადაგადაცილება და დაგვიანება არ უკავშირდება საანგარიშსწორებო სისტემების შეფერხებულ მუშაობას;
- მსესხებელი მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეების წინაშე იმყოფება, რაც დასტურდება ბანკის მიერ მოპოვებული მსესხებლის ფინანსური ინფორმაციით;
- მსესხებელი განიხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის შესაძლებლობას;
- მნიშვნელოვანი ცვლილება არსებობს მსესხებლის მიერ სესხის დაფარვის სტატუსში, რაც ქვეყნის ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების ცვლილებით არის გამოწვეული და ამას გავლენა აქვს მსესხებელზე;
- გირაოს ღირებულება მნიშვნელოვნად შემცირებულია გაუარესებული საბაზრო მდგომარეობის გამო.

გაუფასურების ზარალის გამოთვლა ეფუძნება რისკიანი აქტივების ანალიზს და წარმოადგენს მენეჯმენტის შეფასებას იმ ოდენობისას, რაც საკმარისია ზარალის დასაფარად. ანარიცხები იქმნება იდივიდუალური შეფასებით იმ რისკიანი ფინანსური აქტივებისა ან აქტივთა ჯგუფისთვის, რომელიც არსებითაა ინდივიდუალურად ან ჯგუფურად. გაუფასურების კოლექტიური შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივი ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მიხედვით. ეს მახასიათებლები მნიშვნელოვანია ჯგუფების სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების დასათვლელად.

გაუფასურებასთან მიმართებაში კოლექტიურად შეფასებული ფინანსური აქტივების სამომავლო ფულადი ნაკადები განსაზღვრულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივების ისტორიული ზარალის შესაბამისად. ისტორიული ზარალი კორექტირდება არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რათა ასახულ იქნას მიმდინარე პირობების გავლენა, ხოლო ის გარემოებები, რომლებიც ამჟამად აღარ ასებობს, არ იყოს გათვალისწინებული. სამომავლო ფულადი ნაკადების სავარაუდო ცვლილებები ასახავს და შეესაბამება იმგვარ მონაცემებს, როგორებიცაა უძრავი ქონების ფასი, საქონლის ფასი, გადასდისუნარიანობა და სხვა. სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდოლოგიის და დაშვებების გადახედვა ხდება რეგულარულად, განსაზღვრულ და რეალურ ზარალს შორის სხვაობის შემცირების მიზნით. თუ ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობები დაექვემდებარება ხელახალ მოლაპარაკებებს ან სხვაგვარად შეიცვლება მსესხებლის ან გამცემის ფინანსური სირთულეების მიზეზით, გაუფასურება იზომება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით პირობების ცვლილებამდე.

# სს თურქეთის იმ ბანკის ბათუმის ფილიალი

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

დაარსებიდან 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ქართულ ლარში)

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გაუფასურების ზარალი ყოველთვის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშის გავლით, რომ შეამციროს აქტივის საბალანსო ღირებულება მოსალოდნელი ფულად ნაკადების დონემდე (რომელიც შეიცავს მომავალ საკრედიტო დანაკარგებს რომელსაც ჯერ ადგილი არ ჰქონია) დადისკონტირებულს აქტივის ორიგინალური ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გამოთვლისას გათვალისწინებულია ფულადი ნაკადები რომელიც აქტივის გაყიდვით მიიღება, გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით, იმის მიუხედავად მოსალოდნელი არის თუ არა აქტივის გაყიდვა.

#### ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები არის აქტივი, რომელიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და რომელიც ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, საქართველოს ეროვნულ ბანკში („სებ“) განთავსებულ სახსრებს, სავალდებულო რეზერვების გარდა და ყველა ბანკთაშორის განთავსებას სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ნაღდ ფულისა და ფულის ექვივალენტებში.

#### სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში

სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში აღიარებულია ამორტიზებული ღირებულებით და წარმოადგენს განთავსებულ სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტს, რომელიც არ გამოიყენება ბანკის ყოველდღიური საქმიანობის დასაფინანსებლად და არ მოიაზრება ფულისა და ფულის ექვივალენტის ნაწილად.

ადგილობრივ ფინანსურ ინსტიტუტებს მოეთხოვებათ, რომ ეროვნულ ბანკში განათავსონ სავალდებულო რეზერვები, რომელზეც მათ ერიცხებათ საპროცენტო შემოსავალი. ამ რეზერვების დონე დამოკიდებულია ფინანსური ინსტიტუტების მიერ მოზიდული სახსრების ოდენობაზე.

#### მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ

მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ აღირიცხება მაშინ, როდესაც ბანკი კონტრაგენტ ბანკებში განათავსებს თანხას სამ თვეზე მეტი ვადით და თუ გამიზნული არა აქვს განახორციელოს სავაჭრო ოპერაციები ამ კონკრეტული მოთხოვნებთან დაკავშირებით, რომელთაც გააჩნიათ ფიქსირებული მიღების ვადა. სხვა ბანკებიდან მისაღები თანხები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

#### ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთის (ამორტიზაციისა) და გაუფასურების ზარალით თუ არსებობს.

ძირითად საშუალებებზე (და არამატერიალურ აქტივებზე) ცვეთის (და ამორტიზაციის) დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, სისტემატურ საფუძველზე, წრფივი მეთოდით. ცვეთა (და ამორტიზაცია) ერიცხება შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადების მიხედვით:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლებში)
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	საიჯარო ხელშეკრულების მიხედვით
კომპიუტერები და საოფისე აღჭურვილობა	5
ავეჯი და ინვენტარი	5
არამატერიალური აქტივი	განუსაზღვრელი

იჯარით აღებული ძირითადი საშუალებები ცვდება მასთან დაკავშირებული საიჯარო აქტივის ვადის მიხედვით. სარემონტო და აღდგენით სამუშაოებთან დაკავშირებული ხარჯები გაწევისთანავე

# სს თურქეთის იმ ბანკის ბათუმის ფილიალი

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

დაარსებიდან 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ქართულ ლარში)

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

აღიარდება საოპერაციო ხარჯად, ან კაპიტალიზდება თუ აკმაყოფილებს შესაბამის პირობებს.

ძირითადი სასუალებების საბალანსო ღირებულება გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა გადამოწმდეს, ხომ არ არიან აღიარებული ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტად. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის. როდესაც საბალანსო ღირებულება აჭარბებს ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალი მიეკუთვნება შესაბამის პერიოდს და შედის საოპერაციო ხარჯებში. გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ ძირითადი სასუალებების ცვეთის ხარჯი კორექტირდება მომავალ პერიოდში რათა მოხდეს აქტივების განახლებული საბალანსო ღირებულების (ნარჩენი ღირებულებით შემცირებული, ასეთის არსებობის შემთხვევაში) სისტემატური გადანაწილება ნარჩენი სასიცოცხლო ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში სისტემატურ საფუძველზე წრფივი მეთოდით. თუმცა, თუ არამატერიალურ აქტივს აქვს განუსაზღვრელი მომსახურების ვადა, იგი არ ამორტიზდება. განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის საბალანსო ღირებულება იტესტება გაუფასურებაზე მათ ანაზღაურებად ღირებულებასთან შედარებით თითოეული წლის ბოლოს და სხვა დროსაც თუ არსებობს გაუფასურების ნიშანი. როდესაც მიიჩნევა, რომ აქტივი გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების ნამეტი ანაზღაურებად ღირებულებაზე უნდა აღიარდეს როგორც გაუფასურების ზარალი.

#### ბანკების მიმართ არსებული ვალდებულებები

ბანკების მიმართ არსებული ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც ბანკი კონტრაგენტი ბანკისგან იღებს ფულს ან სხვა აქტივებს. არაწარმოებული ვალდებულებები აღიარებულია ამორტიზებული ღირებულებით. თუ ბანკი შეისყიდის საკუთარ ვალს, ის ამოღებულ იქნება ფინანსური მდგომარეობის ამგარიშგებიდან და სხვაობა ამ ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გაცემულ ოდენობას შორის აღიარდება მოგება ზარალში.

#### კლიენტების ანგარიშები

კლიენტების ანგარიშები არაწარმოებული ვალდებულებებია ფიზიკური პირების და სახელმწიფო ან კერძო სექტორში მოქმედი იურიდიული პირების მიმართ და აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

#### მოგების გადასახადი

პერიოდის საგადასახადო ხარჯი შედგება მიმდინარე და გადავადებული გადასახადების ხარჯისგან. გადასახადის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი წარმოშობა დაკავშირებულია სხვა სრულ შემოსავალში, ან კაპიტალში აღიარებულ მუხლებთან. ასეთ შემთხვევაში, გადასახადის აღიარება ხდება შესაბამისად - სხვა სრულ შემოსავალში, ან პირდაპირ კაპიტალში.

მიმდინარე მოგების გადასახადი გამოითვლება საანგარიშგებო თარიღისთვის ფაქტობრივად მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. მენეჯმენტი პერიოდულად ახდენს საგადასახადო მიდგომის გადახედვას, კანონმდებლობაში არსებული სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაბამისად. კომპანია ქმნის ანარიცხებს თანხებზე, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის.

გადავადებული მოგების გადასახადის აღიარება ხდება აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის არსებული დროებითი სხვაობების მიხედვით. თუმცა, გადავადებული მოგების გადასახადი არ აღიარდება, თუ ის წარმოშობილია აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველი აღიარების შედეგად, რომელიც ოპერაციის მოხდენის დროს გავლენას არ ახდენს არც საგადასახადო და არც ფინანსურ ბაზაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დაკავშირებულია ბიზნეს კომბინაციასთან. გადავადებული მოგების გადასახადი გამოითვლება

## სს თურქეთის იმ ბანკის ბათუმის ფილიალი

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

დაარსებიდან 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ქართულ ლარში)

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული მოგების გადასახადის განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოსალოდნელია, რომ იმოქმედებს მაშინ, როდესაც მოხდება შესაბამისი გადავადებული საგადასახადო აქტივის რეალიზება და ვალდებულების დაფარვა.

გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში (და იმ ოდენობით), რამდენადაც მოსალოდნელია, რომ მომავალში იარსებებს დასაბეგრი მოგება, რის ხარჯზეც მოხდება აღნიშნული აქტივის გაქვითვა. გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება გადაიხურება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს მიმდინარე საგადასახადო აქტივის მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებასთან გადახურვის სამართლებრივი უფლება, და როდესაც გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარმოშობილია ერთი და იმავე საგადასახადო კანონმდებლობის შედეგად, რომლის დროსაც აქტივის და ვალდებულების წმინდა თანხით წარდგენა შესაძლებელია.

#### ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აღიარდება ფინანსური ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის გადინება სავარაუდოა და ამგვარი ვალდებულებების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში, გარდა ისეთი შემთხვევებისა როდესაც ეკონომიკური სარგებლის გადინება არაა მოსალოდნელი.

პირობითი აქტივები არ აისახება ფინანსური ანგარიშგებაში, მაგრამ მათ შესახებ ინფორმაცია იხსნება ახსნა-განმარტებით შენიშვნებში როდესაც შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის შემოდიდება. თუ ეკონომიკური სარგებელი აუცილებლად მიიღება, აქტივი და შესაბამისი შემოსავალიც აღიარდება შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც შეფასების ცვლილება მოხდა.

ანარიცხი არის ვალდებულება გაურკვეველი ვადითა და ოდენობით. ვალდებულება არის საწარმოს მიმდინარე პერიოდის მოვალეობა, რომელიც წარმოშობილია წარსული მოვლენების შედეგად და რომლიდანაც ბანკი მოელის ეკონომიკური სარგებლის გადინებას. ვალდებულების წარმოშობი მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ მოვალეობას, რომლის მიხედვითაც კომპანიამ უპირობოდ უნდა დაფაროს აღნიშნული ვალდებულება. იურიდიული ვალდებულება არის ვალდებულება რომელიც წარმოიქმნება შემდეგი ფაქტორებიდან:

- ხელშეკრულება (ყველა პირობის გათვალისწინებით, მათ შორის ზეპირი);
- კანონმდებლობა; ან
- სხვა კანონიერი ქმედება.

კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიქმნება ბანკის ქმედებებიდან, რაც გულისხმობს შემდეგს:

- წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განაცხადით, ბანკი სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, ბანკი აღნიშნულ სხვა მხარეებს უქმნის სამართლიან მოლოდინს, რომ იგი შეასრულებს აღებულ ვალდებულებებს.

#### შემოსავლების და ხარჯების აღიარება

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აისახება ყველა სავალო ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეს მეთოდი, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებისთვის ითვალისწინებს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა სახის გადასახდელს, მათ შორის ტრანზაქციის დანახარჯებს, ფასნამატებსა და ფასდაკლებებს რაც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს.

## სს თურქეთის იმ ბანკის ბათუმის ფილიალი

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

დაარსებიდან 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ქართულ ლარში)

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი მოსაკრებლები მოიცავენ გაცემის საკომისიოს, რომელიც მიიღება ან გადაიხდებიან პირის მიერ ფინანსური აქტივის შექმნასთან ან შექმნასთან დაკავშირებით ან ფინანსური ვალდებულების გამოცემასთან დაკავშირებით, მაგ. კრედიტუნარიანობის შეფასების საფასური, გარანტიების ან გირაოს შეფასება და გატარება, ინსტრუმენტის პირობების მოლაპარაკება და ოპერაციის დოკუმენტების დამუშავება. ბანკის მიერ მიღებული სესხის გაცემის ვალდებულების სანაცვლოდ მიღებული საკომისიო წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს თუ მოსალოდნელია, რომ ბანკი გააფორმებს კონკრეტულ საკრედიტო ურთიერთობას და არ ელის სესხის რეალიზებას მისი წარმოქმნიდან მოკლე პერიოდშივე. ბანკი არ განსაზღვრავს საკრედიტო ვალდებულებებს ფინანსურ ვალდებულებად რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის საშუალებით.

როდესაც სესხების და სხვა ვალის ინსტრუმენტების ამოღება საეჭვო ხდება, მათი ჩამოწერა ხდება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებამდე და საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება მიმდინარე ღირებულების დისკონტის საფუძველზე აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, გაუფასურების ზარალის შესაფასებლად.

ყველა სხვა მოსაკრებელი და საკომისიო, ასევე სხვა შემოსავლები და ხარჯები ზოგადად ტარდება დარიცხვის საფუძველზე კონკრეტული ოპერაციის დასრულებასთან მიმართებით, რომელიც ფასდება ფაქტიურად უზრუნველყოფილი მომსახურების საფუძველზე, როგორც მისაწოდებელი სრული მომსახურების შემადგენელი ნაწილი.

საკომისიო შემოსავლები, რომლებიც წარმოიქმნება მოლაპარაკებებიდან ან მესამე მხარესთან ოპერაციის თაობაზე გამართულ მოლაპარაკებებში მონაწილეობიდან, მაგ. სესხების, წილების და სხვა ფასიანი ქაღალდების შექმნა, ასევე ბიზნესის შესყიდვა ან რეალიზაცია, რისი გარემოებაც შესაბამისი ოპერაციის აღსრულებისას დგება, ტარდება დასრულებისას.

პორტფელის და სხვა ხელმძღვანელი რგოლის საკონსულტაციო და მომსახურების საფასური აღიარებულია შესაბამისი მომსახურების კონტრაქტების საფუძველზე, ჩვეულებრივ დროსთან პროპორციული წესით. აქტივების მართვის საკომისიო დაკავშირებულია საინვესტიციო ფონდებთან და პროპორციულად ტარდება მომსახურების უზრუნველყოფის მთელ პერიოდში. იგივე პრინციპი გამოიყენება აქტივების მართვასთან, ფინანსური დაგეგმარებასთან და სადეპოზიტო მომსახურებასთან, რაც უზრუნველყოფილია დროის ხანგრძლივ პერიოდში.

#### ხელფასები და თანამშრომელთა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები აღიარდება იმ წელს, როდესაც თანამშრომელმა გასწია შესაბამისი სამსახური.

#### საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები ფინანსური ანგარიშგების ავტირიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას ბანკის ფინანსური ანგარიშგების შესახებ, შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებაში. არსებითი ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას ბანკის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

#### უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით, რომელშიც ბანკი ფუნქციონირებს („ფუნქციური ვალუტა“). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის ბანკის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ბანკის ფუნქციურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

## სს თურქეთის იმ ბანკის ბათუმის ფილიალი

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

დაარსებიდან 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ქართულ ლარში)

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კურსთაშორის სხვაობიდან წარმოშობილი მოგება და ზარალი, რომელიც მიიღება ტრანსაქციითა განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ბანკის ფუნქციურ ვალუტაში წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით გადაყვანის შედეგად, აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გადაფასება წლის ბოლოს არ ეხება არაფულად მუხლებს, კაპიტალში ინვესტიციების ჩათვლით. ფასიანი ქაღალდების გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული რეალური ღირებულების ცვლის ეფექტი აღიარდება, როგორც რეალური ღირებულების ცვლილებისას მიღებული შემოსავლის ან ხარჯის ნაწილი.

ბანკის ფინანსური მდგომარეობა და შედეგები მოცემულია წარსადგენ ვალუტაში შემდეგნაირად:

- საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს, ფინანსური ანგარიშგებაში შემავალი აქტივები და ვალდებულებები გადაფასებულია შესაბამისი პერიოდის ბოლო დღისათვის არსებული კურსით;
- შემოსავლები და ხარჯები გადაყვანილია საშუალო გაცვლითი კურსით (იმ შემთხვევის გარდა თუ ეს საშუალო არ წარმოადგენს გონივრულ მიახლოებას გაცვლითი კურსის კუმულაციურ ეფექტთან, რომელიც წარმოდგენილია ოპერაციის შესრულების თარიღისათვის, მაშინ შემოსავალი და ხარჯი გადაყვანილი იქნება ოპერაციის თარიღით არსებული კურსით);
- კაპიტალის შემადგენელი კომპონენტები წარმოდგენილია ისტორიული კურსით; და
- ყველა სხვა საკურსო სხვაობა აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს პერიოდის ბოლოსთვის, პერიოდის დასაწყისისთვისა და პერიოდის განმავლობაში არსებულ ოფიციალურ გაცვლით კურსებს:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი		
	USD/GEL	EUR/GEL	TRY/GEL
გაცვლითი კურსი 31.12.2012-ისთვის	1.6567	2.1825	0.9247
გაცვლითი კურსი 13.07.2012-ისთვის	1.6559	2.0182	0.9101
საშუალო გაცვლითი კურსი მოცემულ პერიოდში	1.6566	2.1137	0.9211

### ახალი სააღრიცხვო სტანდარტები

მოხდა გარკვეული ახალი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების გამოცემა, რომელიც სავალდებულოა 2013 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ, და რომლებიც ბანკს წინასწარ არ დაუწერავს. სტანდარტების აღნიშნული ჩამონათვალი ბანკის შეფასებით შესაძლოა გახდეს მომავალ პერიოდში დანერგილი, შესაბამისად ბანკი მათ გამოყენებას ძალაში შესვლისას მოახდენს:

**ფას 9, ფინანსური ინსტრუმენტები - ნაწილი 1: კლასიფიკაცია და შეფასება.** ფას 9, გამოიცა 2009 წლის ნოემბერში და ჩაანაცვლა ბასს 39-ის ის ნაწილები, რომლებიც უკავშირდება ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას და შეფასებას. ფას 9-მ შემდეგ კვლავ განიცადა ცვლილებები 2010 წლის ოქტომბერში, რათა დაკმაყოფილებულიყო ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციის და შეფასების საკითხიც, ხოლო 2011 წლის დეკემბერში (i) რათა შეცვლილიყო წლიური პერიოდების ძალაში შესვლის თარიღი 2015 წლის 1 იანვრიდან დაწყებული და (ii) რათა დამატებულიყო ოპერაციების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების მოთხოვნა. სტანდარტების ძირითადი მახასიათებლები შემდეგნაირია:

- ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია საჭიროა შეფასების ორ კატეგორიად: რომლების შეფასებაც აღიარების შემდგომ რეალური ღირებულებით უნდა მოხდეს და რომელთა შეფასებაც აღიარების შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით უნდა მოხდეს. გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს საწყისი აღიარებისას. კლასიფიკაცია დამოკიდებულია საწარმოს მიერ ფინანსური ინსტრუმენტების

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მართვის ბიზნეს მოდელზე და ინსტრუმენტის საკონტრაქტო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე.

- ინსტრუმენტი აღიარების შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით მხოლოდ მაშინ უნდა იყოს წარმოდგენილი, თუ ის სავალე ინსტრუმენტია და ამასთანავე (i) საწარმოს ბიზნეს მოდელის მიზანია აქტივის შენახვა საკონტრაქტო ფულადი ნაკადების მოსაზიდად და (ii) აქტივის საკონტრაქტო ფულადი ნაკადები წარმოდგენენ მხოლოდ ძირისა და პროცენტის გადახდას (ე.ი. ის არის მხოლოდ „სესხის ძირითადი მახასიათებლები“). ყველა სხვა სავალე ინსტრუმენტი რეალური ღირებულებით უნდა აღიარდეს მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.
- კაპიტალის ყველა ინსტრუმენტი შესაბამისად რეალური ღირებულებით უნდა შეფასდეს აღიარების შემდგომ. კაპიტალის ინსტრუმენტები, რომლებიც სარეალიზაციოდ არის გამიზნული მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით რეალური ღირებულებით შეფასდება. კაპიტალის ყველა სხვა ინსტრუმენტზე მომავალში კლასიფიკაციის შეცვლის შესაძლებლობის გარეშე შეიძლება საწყისი აღიარებისთანავე მოხდეს მისი კლასიფიცირება, ისე, რომ რეალური ღირებულების რეალიზებული ან არარეალიზებული ცვლილება აისახება სხვა სრულ შემოსავლებში, მოგება-ზარალის ნაცვლად. რეალური ღირებულების ცვლილების გადატანა არ უნდა მოხდეს მოგება-ზარალში. ეს არჩევანი შეიძლება გაკეთდეს ინდივიდუალურად, ყოველი ცალკეული ინსტრუმენტის შემთხვევაში. დივიდენდები წარმოდგენილი უნდა იყოს მოგება-ზარალში, რადგანაც ისინი ინვესტიციაზე ამონაგებს წარმოდგენენ.
- ბასს 39-ის მოთხოვნების უმრავლესობა ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასა და შეფასებასთან დაკავშირებით უცვლელად იქნა გადმოტანილი ფასს 9-ში. ძირითადი ცვლილება იმაში მდგომარეობს, რომ საწარმოს მოეთხოვება წარმოდგინოს საკუთარი საკრედიტო რისკის ცვლილების ეფექტი სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, რაც გამოწვეულია მოგება-ზარალის გავლით აღიარებული ფინანსური ვალდებულებებით.

ფასს 9-ის მიღება სავალდებულოა 2015 წლის 1 იანვრიდან, თუმცა ნებადართულია ნაადრევი გამოყენებაც. ბანკი აანალიზებს სტანდარტის შედეგებს, მის გავლენას ბანკზე და ცდილობს განსაზღვროს მისი დანერგვის ვადები.

ფასს 13, რეალური ღირებულების შეფასება, (გამოიცა 2011 წლის მაისში და ძალაში შედის 2013 წლის 1 იანვრიდან დაწყებული პერიოდებისთვის), მიზნად ისახავს შესაბამისობის გააუმჯობესებას და სირთულის შემცირებას რეალური ღირებულების განმარტების გადასინჯვით. ის ასევე იქნება რეალური ღირებულების შეფასებისა და წარდგენის ერთადერთი წყარო ფასს-ებში. ბანკი არ მოელის, რომ სტანდარტს ექნება რაიმე სახის არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ბასს 1-ში, ფინანსური ანგარიშგების წარდგენა (გამოიცა 2011 წლის ივნისში, ძალაში შევიდა 2012 წლის 1 ივლისით დაწყებული პერიოდებისთვის), ცვლის სხვა სრულ შემოსავლებში მუხლების წარდგენას. ცვლილებები საწარმოსგან მოითხოვს, რომ სხვა სრულ შემოსავლებში წარმოდგენილი მუხლები ორ ჯგუფად გაიმიჯნოს, მომავალში მათი მოგებაში ან ზარალში რეკლასიფიკაციის ალბათობის მიხედვით. სტანდარტით ასევე შემოთავაზებულია სრული შემოსავლის ანგარიშგების ახალი სათაური, რომელიც შეიცვალა როგორც „მოგება-ზარალის ანგარიშგება და სხვა სრული შემოსავალი“. ბანკის მოლოდინით შესწორებული სტანდარტი შეცვლის მის ფინანსურ ანგარიშგებაში ამ ანგარიშგების წარმოდგენას, თუმცა მას გავლენა არ ექნება ოპერაციების შეფასებასა და ნაშთებზე.

ცვლილებები ბასს19-ში, თანამშრომელთა სარგებელი (გამოიცა 2011 წლის ივლისში, ძალაში შევიდა 2013 წლის იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის), მნიშვნელოვანი ცვლილებები გაკეთდა განსაზღვრული სარგებლის მქონე საპენსიო ხარჯის აღიარებასა და გაზომვის მიმართ. ასევე იცვლება ყველა თანამშრომლის სარგებლის გამოქვეყნება. სტანდარტი მოითხოვს ყველა ცვლილების აღიარებას

## სს თურქეთის იმ ბანკის ბათუმის ფილიალი

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

დაარსებიდან 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ქართულ ლარში)

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

წმინდა განსაზღვრული სარგებლის ვალდებულების (აქტივის) მიმართ, როდესაც ასეთი გარემოება დგება შემდეგი წესით:

- (i) მომსახურების ხარჯები და წმინდა ინტერესი მოგების ან ზარალის ნაწილში; და
- (ii) სხვა სრულ შემოსავლებში ხელახალი გაზომვის ნაწილში.

ბანკი არ პროგნოზირებს, რომ ამ შესწორებას ექნება რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შესწორებები ფასს 7-ში, „განმარტებითი შენიშვნები - ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გადახურვა“ – (გამოცემულია 2011 წლის დეკემბერში და ძალაში შესვლის თარიღია 2013 წლის 1 იანვრიდან დაწყებული პერიოდები) შესწორება მოითხოვს განმარტებითი შენიშვნების წარდგენას რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს დაეხმარება გარკვეული ოპერაციების გადახურვის (მათ შორის გადახურვის უფლების) ეფექტებისა და პოტენციური ეფექტების შეფასებაში.

შესწორებები ბასს 32-ში, „ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გადახურვა“ (გამოცემულია 2011 წლის დეკემბერში და ძალაში შესვლის თარიღია 2014 წლის 1 იანვრიდან დაწყებული პერიოდები) შესწორებამ დაამატა ბასს 32-ის გამოყენების დამხმარე სახელმძღვანელო, რომელიც პასუხობს იმ შეუსაბამობებს რომელიც გამოვლინდა გადახურვის კრიტერიუმებში. მათ შორის დაიხვეწა ისეთი განმარტება როგორც იყო: „ამჟამად გააჩნია გადახურვის იურიდიული უფლება“ და რომ ჯამური გადახურვის სისტემა შეიძლება იმავნაირად გამოყენებული იყოს როგორც ნეტო გადახურვის სისტემა.

განახლებები ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებში (გამოცემულია 2012 წლის მაისში და ძალაში შესვლის თარიღია 2013 წლის 1 იანვრიდან). აღნიშნული განახლებები შედგება ხუთი სტანდარტისგან. ფასს 1 შეიცვალა რათა (i) დაზუსტებულიყო რომ საწარმო, რომელიც გააგრძელებს კვლავ ფასს-ების გამოყენებას შეუძლია ან განმეორებით გამოიყენოს ფასს 1 ან გამოიყენოს ყველა ფასს-ები რეტროსპექტულად, თითქოსდა მას არასდროს ჰქონოდა შეწყვეტილი მათი გამოყენება, და (ii) რომ დამატებულიყო გამოწვევის ბასს 23-ის „სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები“ რეტროსპექტულად გამოყენებისას ფასს-ების პირველად მიმღებთა მიერ. ბასს 1 შეიცვალა რომ დაზუსტებულიყო რომ განმარტებითი შენიშვნები არაა საჭირო მესამე საბალანსო მონაცემებისთვის პირველი შესადარისი პერიოდის დასაწყისისთვის როდესაც ეს მოცემულია, რადგანაც მასზე ხდებოდა არსებითი გავლენის მოხდენა ნაშთების რეტროსპექტიული ცვლილებისას, სააღრიცხვო პოლიტიკასა დაკლასიფიკაციაში წარდგენის მიზნით, ხოლო ახსნა-განმარტებითი შენიშვნები საჭირო იქნება, როდესაც საწარმო ნებაყოფლობით მოისურვებს დამატებითი შესადარისი ანგარიშგებების წარდგენას. ბასს 16 შეიცვალა, რათა დაზუსტებულიყო რომ მომსახურებაში გამოყენებული დანადგარები, რომელიც ერთ პერიოდზე მეტხანს გამოიყენება კლასიფიცირდება როგორც ძირითადი საშუალება მარაგის ნაცვლად. ბასს 32 შეიცვალა, რათა დაზუსტებულიყო, მფლობელებზე გაცემული თანხების გარკვეული საგადასახადო შედეგები. როგორც ეს ყოველთვის მოითხოვებოდა ბასს 12-ის მიხედვით, მფლობელებზე გაცემული თანხები უნდა აღირიცხოს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ბასს 34 შეიცვალა რომ მისი მოთხოვნები შესაბამისობაში მოსულიყო ფასს 8-სთან. ბასს 34 მოითხოვს მთელი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობის წარდგენას საოპერაციო სემენტებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ასეთი ინფორმაცია რეგულარულად მიეწოდება საოპერაციო გადაწყვეტილებების მიმღებ დირექტორს და ბოლო ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი აღნიშნული ინფორმაცია არსებითად შეიცვალა.

შესწორებები ფასს 1-ში „ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება - სახელმწიფო სესხები“ (გამოცემულია 2012 წლის მარტში და ძალაში შედის 2013 წლის 1 იანვრიდან დაწყებულ პერიოდებში). შესწორება შეეხება სახელმწიფოსგან საბაზროსგან ნაკლებ საპროცენტო განაკვეთში მიღებულ სესხებს და ფინანსური ანგარიშგების პირველად მომხმარებელ საწარმოებს

## სს თურქეთის იმ ბანკის ბათუმის ფილიალი

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

დაარსებიდან 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ქართულ ლარში)

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ათავისუფლებს ფასს-ების სრული რეტროსპექტიული გამოყენების მოთხოვნისგან აღნიშნული სესხების აღრიცხვისას ფასს-ებზე გადასვლისას. აღნიშნული გათავისუფლებით ის იგივენაირად ისარგებლებს როგორც სტანდარტის მიმდინარე მომხმარებლები.

#### სხვა განახლებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები

ფასს 10, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება (გამოიცა 2011 წლის მაისში და ძალაში შევიდა 2013 წლის 1 იანვრით დაწყებული პერიოდებისთვის), ჩაანაცვლა ბასს 27 „კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები“ და ემკ 12 „სპეციალური დანიშნულების ეკონომიკური სუბიექტები“. ფასს 10 ცვლის „კონტროლის“ განმარტებას, რათა ერთნაირი კრიტერიუმით იყოს გამოყენებული ნებისმიერი საწარმოს კონტროლის განსაზღვრისთვის. ეს განმარტება გამყარებულია გამოყენების ყოვლისმომცველი ინსტრუქციით. ბანკი არ მოელის, რომ სტანდარტს ექნება რაიმე სახის გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 11, ერთობლივი საქმიანობა, (გამოიცა 2011 წლის მაისში და ძალაში შევიდა 2013 წლის 1 იანვრით დაწყებული პერიოდებისთვის), ბასს 31 „ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეობა“ და სიკ 13 „ერთობლივად კონტროლირებადი ერთეულები - კონტროლის უფლების მქონე ინვესტორების არაფულადი შენატანები“. შეტანილი ცვლილებების შედეგად ორამდე შემცირდა ერთობლივი საქმიანობის სახეობების რაოდენობა: ერთობლივი საქმიანობა და ერთობლივი საწარმოები. გაუქმებულ იქნა ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებული პირებისთვის პროპორციული კონსოლიდაციის პოლიტიკის არსებული არჩევანი. ერთობლივი საქმიანობის მონაწილეებისთვის სავალდებულოა აღრიცხვისას კაპიტალ-მეთოდის გამოყენება. ბანკი არ პროგნოზირებს ეს შესწორება რაიმე მნიშვნელოვანი გავლენას მოახდენს მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 12, სხვა საწარმოებში არსებული წილის წარდგენა, (გამოიცა 2011 წლის მაისში და ძალაში შევიდა 2013 წლის 1 იანვარს დაწყებული პერიოდებისთვის), შეეხება საწარმოებს, რომლებსაც ინტერესი გაააჩნიათ შვილობილ ორგანიზაციებში, ერთობლივ საწარმოში, მეკავშირე საწარმოებში ან არაკონსოლიდირებულ სტრუქტურირებულ ერთეულებში. მან ჩაანაცვლა წარდგენის მოთხოვნები, რომლებიც ამჟამადაა ძალაში ბასს 28-ის მიხედვით “ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში“. ფასს 12 ორგანიზაციებისგან მოითხოვს ინფორმაციის წარდგენას ფინანსურ ანგარიშგებაში, რაც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს დაეხმარება იმის გარკვევაში თუ რა სახის რისკები და ფინანსური ეფექტი გააჩნია ამ საწარმოს შვილობილ ორგანიზაციებში, ერთობლივ საწარმოში, მეკავშირე საწარმოებში ან არაკონსოლიდირებულ სტრუქტურირებულ ერთეულებში. ამ მიზნების მისაღწევად, ახალი სტანდარტი მოითხოვს ინფორმაციის წარდგენას რამოდენიმე სახით. მათ შორისაა: მნიშვნელოვანი მსჯელობა და დაშვება იმის თაობაზე, თუ რამდენად ინდივიდუალურად აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, თუ გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა სხვა ორგანიზაციებში მის მიერ ფლობილ წილზე; არამაკონტროლებელი წილის შესახებ ინფორმაციის გასხნა ბანკის საქმიანობასა და ფულად ნაკადებზე; შეჯამებულ ფინანსურ ინფორმაცია შვილობილ ორგანიზაციებზე მნიშვნელოვანი არამაკონტროლებელი წილით და დეტალური ინფორმაციის გაშიფრვა არაკონსოლიდირებულ სტრუქტურულ ერთეულებში წილის შესახებ. ბანკი არ პროგნოზირებს, რომ ამ შესწორებას რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა ექნება მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბასს 27, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები (დაიხვეწა 2011 წლის მაისში და ძალაში შედის 2013 წლის 1 იანვარს დაწყებულ პერიოდებში) შეიცვალა და ახლა მისი მიზანია წარმოადგინოს სააღრიცხვო და ახსნა-განმარტებითი შენიშვნების წარდგენის მოთხოვნები შვილობილ საწარმოებში, ერთობლივ საწარმოებსა და მეკავშირე საწარმოებში როდესაც საწარმო აშხადებს ინდივიდუალურ ფინანსურ

## სს თურქეთის იმ ბანკის ბათუმის ფილიალი

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

დაარსებიდან 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ქართულ ლარში)

---

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ანგარიშგებას. კონტროლსა და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დამხმარე ინფორმაცია ჩანაცვლდა ფასს 10-ით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. ბანკი არ მოელოს, რომ სტანდარტს ექნება რაიმე სახის გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბასს 28, ინვესტიციები მკავშირე საწარმოებში, (გადაისხინჯა 2011 წლის მაისში და ძალაში შევიდა 2013 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიურ პერიოდებისთვის). ცვლილება ბასს 28-ში განპირობებული იყო საბჭოს პროექტით ერთობლივ საწარმოებზე. როდესაც პროექტის განხილვა ხდებოდა საბჭომ გადაწყვიტა ერთობლივი საწარმოების საბუღალტრო აღრიცხვის გაერთიანება კაპიტალ მეთოდის გამოყენებით ბასს 28-ში, რადგან ეს მეთოდი მიესადაგება როგორც ერთობლივ საწარმოებს ასევე მკავშირე საწარმოებს. ამ გამონაკლისით, სხვა ინსტრუქცია უცვლელი დარჩა. ბანკი არ მოელოს, რომ სტანდარტს ექნება რაიმე სახის გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები გადასვლის დამხმარე ინსტრუქციებში ფასს 10, ფასს 11 და ფასს 12 (გამოცემულია 2012 წლის ივნისში და ძალაში შედის 2013 წლის 1 იანვრიდან დაწყებული პერიოდებისთვის). ცვლილებები აზუსტებს გადასვლის ინსტრუქციებს ფასს 10-ში „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები“. საწარმოები, რომელიც მიიღებენ ფასს 10-ს უნდა მოახდინონ კონტროლის შეფასება იმ წლიური პერიოდის პირველსავე დღესვე, როდესაც მოახდინენ ფასს 10-ის მიღებას და თუ კონსოლიდაციის გადაწყვეტილება ფასს 10-ის მიხედვით განსხვავებული იქნება იას 27-ისა და იმკ 12-ისგან, წინა შესადარისი პერიოდი (რომელიც არის 2012 წელი იმ საწარმოსთვის, რომელიც ფასს 10-ს 2013 წელს მიიღებს) შეიცვლება, გარდა იმ შემთხვევისა თუ ეს შეუძლებელია. ცვლილება ასევე იძლევა გადასვლისგან დამატებით განთავისუფლების უფლებას ფასს 10-ში, ფასს 11-სა „ერთობლივი საქმიანობა“ და ფასს 12-ში „სხვა საწარმოებში არსებული წილის წარდგენა“ იმ მოთხოვნის შეზღუდვით რომ წარდგეს დაკორექტირებული შესადარისი ინფორმაცია მხოლოდ ერთ წინა შესადარისი პერიოდზე. ამასთანავე, ცვლილებები აბათილებს მოთხოვნებს, რომ წარდგეს შესადარისი ინფორმაცია არაკონსოლიდირებული სტრუქტურული ერთეულების ახსნა-განმარტებით შენიშვნებზე იმ პერიოდებისთვის, სანამ ფასს 12-ის პირველად გამოყენება მოხდა.

შესწორებები ფასს 10-ში, ფასს 12-სა და ბასს 27-ში - საინვესტიციო საწარმოები (გამოცემულია 2012 წლის 31 ოქტომბერს და ძალაში შედის 2014 წლის 1 იანვრიდან დაწყებული პერიოდებისთვის) შესწორებამ შემოიღო საინვესტიციო საწარმოს განმარტება, როგორც: საწარმო, რომელიც (i) იღებს ფინანსებს ინვესტორისგან, რათა მათ შესთავაზოს ინვესტიციების მართვის სერვისი, (ii) მათი ბიზნეს საქმიანობის მიზანს წარმოადგენს მხოლოდ კაპიტალის ზრდა და საინვესტიციო შემოსავლის მიღება და (iii) აღიარებს და აფასებს საკუთარ ინვესტიციებს რეალური ღირებულებით. საინვესტიციო საწარმოს მოეთხოვება რომ საკუთარი შვილობილები აღრიცხოს რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, და რომ დააკონსოლიდიროს მხოლოდ ის შვილობილები რომელიც საწარმოს საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებულ მომსახურებას ეწევიან. ფასს 12 შეიცვალა, რომ მომხდარიყო ახალი ახსნა-განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენა, მათ შორის ყველა მნიშვნელოვანი მსჯელობისა რომელიც დაკავშირებულია იმ გადაწყვეტილებასთან არის თუ არა საწარმო საინვესტიციო საწარმო, ასევე ინფორმაცია ფინანსურ ან სხვა სახის დახმარებაზე, რომელიც ეწევა არაკონსოლიდირებულ შვილობილს, მიუხედავად იმისა უკვე გაწეულია ასეთი დახმარება თუ განზრახულია რომ გაეწიოს.

# სს თურქეთის იმ ბანკის ბათუმის ფილიალი

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

დაარსებიდან 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ქართულ ლარში)

### 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ბანკი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

#### ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლობის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

#### ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

როდესაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულების განსაზღვრა აქტიურ ბაზარზე ვერ ხერხდება, არსებობს შეფასების ტექნიკის მრავალი განსაზღვრული გზა მათ შორის მათემატიკური მოდელის გამოყენებით. აღნიშნული მეთოდების გამოყენებისას ინფორმაციის მიღება ხორციელდება დაკვირვებად ბაზარზე თუ ეს შესაძლებელია, ხოლო თუ მსგავსი ბაზარი არ არსებობს, საჭიროა გარკვეული დონის მსჯელობის გამოყენება რეალური ღირებულების განსაზღვრად.

#### დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების თავდაპირველი აღიარება

ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ბანკი ახორციელებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ბასს 39-ს მოითხოვს, რომ ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღიარდეს რეალური ღირებულებით. გარკვეული მსჯელობა საჭიროა, რათა განისაზღვროს არის თუ არა ოპერაციებისას გამოყენებული საპროცენტო განაკვეთი საბაზროსთან შესაბამისი იმ შემთხვევაში თუ არ არსებობს აქტიური ბაზარი მსგავსი ტიპის ოპერაციებისთვის. მსჯელობა დაეფუძნება მსგავსი ტიპის ოპერაციების განაკვეთს არადაკავშირებულ მხარეებთან და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს. მენეჯმენტის შეფასებით 2012 წლის 31 დეკემბრისთვის დაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული არც ერთი ოპერაცია ყოფილა საბაზროსგან განსხვავებული პირობებით. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ოპერაციები შეგიძლიათ იხილოთ 23-ე შენიშვნაში.

#### მოგების გადასახადი

ბანკის ჩვეულებრივი საქმიანობისას არსებობს ისეთი ოპერაციები და გაანგარიშებები, რომელთათვისაც საბოლოო საგადასახადო შედეგი ნათლად არ არის განსაზღვრული. შედეგად, ბანკი ახდენს შეფასებას, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადების გადახდის ვალდებულება და შესაბამისად აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც იმის მიუხედავად, რომ ბანკი საკუთარ საგადასახადო დეკლარაციებს მიიჩნევს მზრიდან არსებობდეს გამყარებულად, ბანკი მაინც უშვებს, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მზრიდან არსებობდეს გარკვეულწილად განსხვავებული პოზიცია და მათი გავლის შემდეგ შეიცვალოს ვალდებულობის ოდენობა. შედეგად, ბანკს მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული რისკი. ბანკი მიიჩნევს, რომ დარიცხული საგადასახადო ვალდებულებები სათანადოა აღიარებული წარმოდგენილი პერიოდისთვის რაც ეფუძნება სხვადასხვა ფაქტორების შეფასებას, მათ შორის საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას. ეს შეფასება დამოკიდებულია დაშვებებსა და მსჯელობაზე და შესაძლოა შეიცავდეს მომავალი მოვლენების კომპლექსურ შეფასებას. იმ შემთხვევაში, თუ საბოლოო საგადასახადო შედეგი განსხვავებული იქნება დარიცხული თანხებისგან, სხვაობები გავლენას მოახდენს იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯზე, რა პერიოდშიც ეს გახდება ცნობილი.

## სს თურქეთის იმ ბანკის ბათუმის ფილიალი

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

დაარსებიდან 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ქართულ ლარში)

#### 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

##### სასამართლო დავები

ბანკი ანარიცხს მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს, თუ წარსულში მომხდარი ოპერაციის შედეგად არსებობს მიმდინარე ვალდებულება, ამასთანავე ამ ოპერაციასთან დაკავშირებით მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის ბანკიდან გასვლა და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. იმ შემთხვევაში, როდესაც ყველა ეს პირობა არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულების წარდგენა შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების რეალურად განხორციელებამ იმ შემთხვევაში, თუ ის არ არის აღიარებული ან დაფიქსირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, შესაძლოა არსებითი გავლენა მოახდინოს ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე. ამ სააღრიცხვო პრინციპების გამოყენება სასამართლო დავებთან მიმართებაში მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან სხვადასხვა ფაქტიური და სამართლებრივი საკითხების განსაზღვრას, რომლებიც სცილდება მათი კონტროლის სფეროს. არსებობს შემთხვევაში ბანკი მიმოიხილავს არსებულ ყველა სასამართლო დავასა და მათ განვითარებას საანგარიშგებო თარიღისთვის, რათა განისაზღვროს, არის თუ არა ანარიცხის შექმნის საჭიროება ფინანსურ ანგარიშგებაში. აღნიშნულის შეფასებისას მხედველობაში მიიღება დავის ბუნება, პროცესის იურიდიული ფორმა, შესაძლო ზარალის პოტენციური ოდენობა, პროცესის განვითარების შედეგები, იურისტების მოსაზრება, გამოცდილება მსგავს შემთხვევებზე, ასევე ბანკის მენეჯმენტის გადაწყვეტილება თუ როგორ მოახდენს აღნიშნულ დავაზე რეაგირებას.

#### 5. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2012 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2012
ნაღდი ფული	384,751
ფულადი სახსრები ეროვნულ ბანკში (სავალდებულო რეზერვების გარდა)	38,303
მიმდინარე ანგარიშები და ერდლიანი დეპოზიტები სხვა ბანკებში	3,878,133
დეპოზიტები და მოთხოვნები სხვა ბანკებში სამ თვემდე ვადით	9,609,542
<b>სულ ფული და ფულის ეკვივალენტები</b>	<b>13,910,729</b>

ფულისა და ფულის ეკვივალენტები ვალუტების მიხედვით 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ლარში	აშშ დოლარში	ევროში	თურქულ ლირაში	სულ
ნაღდი ფული	119,871	141,406	40,005	83,469	384,751
ფულადი სახსრები ეროვნულ ბანკში (სავალდებულო რეზერვების გარდა)	28,899	9,079	325	-	38,303
მიმდინარე ანგარიშები და ერდლიანი დეპოზიტები სხვა ბანკებში	3,720,778	-	109,125	48,230	3,878,133
დეპოზიტები და მოთხოვნები სხვა ბანკებში სამ თვემდე ვადით	9,188,387	421,155	-	-	9,609,542
<b>სულ ფული და ფულის ეკვივალენტები</b>	<b>13,057,935</b>	<b>571,640</b>	<b>149,455</b>	<b>131,699</b>	<b>13,910,729</b>

## სს თურქეთის იმ ბანკის ბათუმის ფილიალი

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

დაარსებიდან 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ქართულ ლარში)

#### 5. ფული და ფულის ეკვივალენტები (გაგრძელება)

სხვა ბანკებში განთავსებული მიმდინარე ანგარიშებისა და ერდლიანი დეპოზიტების საკრედიტო რეიტინგები 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარში	ევროში	თურქულ ლირაში	სულ
BBB	-	-	48,230	48,230
BB-	3,720,778	109,125	-	3,829,903
<b>სულ მიმდინარე ანგარიშები და ერდლიანი დეპოზიტები სხვა ბანკებში</b>	<b>3,720,778</b>	<b>109,125</b>	<b>48,230</b>	<b>3,878,133</b>

საკრედიტო რეიტინგი შეადგენს „BB“-ს სხვა ბანკებში განთავსებულ ყველა (9,609,542 ლარის) დეპოზიტებისა და მოთხოვნებისთვის სამ თვემდე ვადით 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნულ დეპოზიტებზე ბანკმა მიიღო საპროცენტო შემოსავალი წლიური 5.5%-მდე.

წარმოდგენილი რეიტინგები მინიჭებულია „Standard & Poor’s“-ისა და „Fitch Ratings“-ის საერთაშორისო სააგენტოების მიერ. თუ სააგენტოების მიერ განსხვავებული რეიტინგებია მინიჭებული, მაშინ გამოყენებულია მაღალი შეფასება აღნიშნული აქტივებისთვის.

ბანკში განთავსებული სახსრები არაა გაუფასურებული ან ვადაგადაცილებული.

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს გააჩნია ორი დეპოზიტი, რომელთა ოდენობაც აჭარბებს კაპიტალის 10%-ს. აღნიშნული დეპოზიტების ჯამური ბალანსი 2012 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 12,909,165 ლარს.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები გაშიფრულია 23-ე შენიშვნაში.

#### 6. სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში

საქართველოს ეროვნულ ბანკში განთავსებული სავალდებულო რეზერვები 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 60,746 ლარსა და 310 ლარს შესაბამისად აშშ დოლარსა და ევროში.

აღნიშნული რეზერვები წარმოადგენს საქართველოს ეროვნულ ბანკში („სებ“) განთავსებულ სახსრებს. საქართველოში მოქმედ ბანკებს ევალებათ, რომ სებ-ში შეინარჩუნონ სავალდებულო რეზერვები, რომლის ოდენობაც განისაზღვრება ბანკის მიერ მოზიდული სახსრების მიხედვით და რომელსაც ერიცხება საპროცენტო შემოსავალი (წლიური 5%-მდე).

ბანკს ასევე გააჩნია ეროვნულ ბანკში განთავსებული სხვა სახსრები, რომელიც არაა გამოყენებისთვის ისევე შეუზღუდული, როგორც სავალდებულო რეზერვები, შესაბამისად შესულია ფულსა და ფულის ეკვივალენტებში, როგორც წარმოდგენილია ზემოთ მოცემულ მე-5 შენიშვნაში.

#### 7. სხვა მოთხოვნები

სხვა მოთხოვნები 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 15,400 ლარის ოდენობის მისაღებ თანხას. სხვადასხვა ოდენობის ლარის ბანკნოტები გადაცემული იყო ფიზიკურ პირზე ბანკნოტის გასატესტად. აღნიშნული ბანკნოტები არაა დაბრუნებული 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და აღიარებულია როგორც სხვა მოთხოვნები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

## სს თურქეთის იმ ბანკის ბათუმის ფილიალი

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

დაარსებიდან 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ქართულ ლარში)

#### 8. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	კომპიუტერები და საოფისე აღჭურვილობა	ავეჯი და ინვენტარი	არამატერიალური აქტივი *	სულ
ისტორიული ღირებულება 13.07.2012	-	-	-	-	-
შემოსვლა პერიოდის მანძილზე	346,082	154,125	98,346	12,738	611,291
გასვლა პერიოდის მანძილზე	-	-	-	-	-
ისტორიული ღირებულება 31.12.2012	346,082	154,125	98,346	12,738	611,291
დაგროვილი ცვეთა და ამორტიზაცია					
ბალანსი 13.07.2012-ისთვის	-	-	-	-	-
პერიოდის ცვეთა	(22,719)	(12,340)	(7,560)	-	(42,619)
გასულის დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2012-ისთვის	(22,719)	(12,340)	(7,560)	-	(42,619)
ნეტო საბალანსო ღირებულება					
ნეტო საბალანსი ღირებულება 13.07.2012	-	-	-	-	-
ნეტო საბალანსი ღირებულება 31.12.2012	323,363	141,785	90,786	12,738	568,672

\* არამატერიალური აქტივი შეგება SWIFT ტრანზაქციებისთვის საჭირო ლიცენზიისგან (Alliance Access Destination licence), დანიშნულების ლოკაციით: ISBKGE22. ლიცენზიას გააჩნია განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადა რაც არ ამოტრიზდება ბასს 38-ის შესაბამისად. ბანკი ახდენს ლიცენზიის გაუფასურებაზე ტესტირებას ბასს 36-ის მიხედვით მისი საბალანსო ღირებულების ანაზღაურებად ღირებულებასთან შედარებით თითოეული წლის ბოლოს და თუ არსებობს ლიცენზიის გაუფასურების ნიშანი. ბანკი ამჟამად იყენებს საბანკო პროგრამას რომელიც კონტროლდება სს „თურქეთის იმ ბანკის“ (მფლობელი) მიერ და შესაბამისად არ აღიარებს აქტივად ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებული მხარდაჭერისა და დახვეწის ხარჯები აღიარდება ბანკის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

#### 9. მოგების გადასახადი

ფას-ებსა და საქართველოს საგადასახადო კოდექსს შორის არსებული სხვაობები იწვევს დროებით სხვაობებს ფინანსური ანგარიშგების მიზნებისა და საგადასახადო ბაზების მიხედვით არსებულ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებს შორის. დროებითი სხვაობები აღიარებული 15%-ად 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დროებითი სხვაობების 15%	აქტივი	ვალდებულება	ნეტო
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	-	(9,605)	(9,605)
დაგროვილი საგადასახადო ზარალი	67,342	-	67,342
გადავადებული საგადასახადო აქტივი/(ვალდებულება)	67,342	(9,605)	57,737
გადახურვა	(9,605)	9,605	-
წმინდა გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	57,737	-	57,737

## სს თურქეთის იშ ბანკის ბათუმის ფილიალი

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

დაარსებიდან 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ქართულ ლარში)

#### 9. მოგების გადასახადი (გაგრძელება)

ბანკი აღიარებს დაგროვილ საგადასახადო ზარალს გადავადებულ საგადასახადო აქტივად, რადგანაც მოსალოდნელია რომ იარსებებს საგადასახადო მოგება რომლის მიმართაც მოხდება აღნიშნული ზარალის გამოყენება.

დროებით სხვაობებში ცვლილებების საგადასახადო ეფექტები წარმოდგენილია ქვემოთ.

დროებითი სხვაობები გამოწვეულია:	ბალანსი 2012 წლის 13 ივლისს	(გამოკლებული) / დამატებული სრული შემოსავლის ანგარიშგებაში	(გამოკლებული) / დამატებული პირდაპირ კაპიტალში	ბალანსი 2012 წლის 31 დეკემბერს
ძირითადი საშუალებებითა და არამატერიალური აქტივებით	-	(9,605)	-	(9,605)
დაგროვილი საგადასახადო ზარალით	-	67,342	-	67,342
<b>სულ გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი</b>	-	<b>57,737</b>	-	<b>57,737</b>

მოგების გადასახადის სარგებელი მოიცავს შემდეგს:

	2012
მიმდინარე მოგების გადასახადი	-
დროებითი სხვაობების ეფექტი	57,737
<b>მოგების გადასახადის სარგებელი</b>	<b>57,737</b>

მოგების გადასახადის სარგებლის რეკონსილაცია ფაქტობრივსა და თეორიულს შორის შემდეგნაირია:

	2012
ზარალი მოგების გადასახადამდე	(448,696)
საგადასახადო განაკვეთი	15%
თეორიული მოგების გადასახადის სარგებელი	67,667
მუდმივი სხვაობების ეფექტი	(9,567)
<b>მოგების გადასახადის სარგებელი</b>	<b>57,737</b>

#### 10. ბანკების მიმართ არსებული ვალდებულებები

ბანკების მიმართ არსებული ვალდებულებები 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2012
სხვა ბანკების მიმდინარე ანგარიშები და ერდლიანი დეპოზიტები	357,746
ბანკებისგან მიღებული სესხები	694,382
<b>სულ ბანკების მიმართ არსებული ვალდებულებები</b>	<b>1,052,128</b>

ბანკებისგან მიღებული ყველა სესხი მოკლევადიანია. ბანკის საპროცენტო ხარჯი აღნიშნულ სესხებზე შეადგენდა წლიურ 7,5%-ს პერიოდისთვის რომელიც დასრულსა 2012 წლის 31 დეკემბერს.

**სს თურქეთის იშ ბანკის ბათუმის ფილიალი**

**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

დაარსებიდან 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ქართულ ლარში)

**10. ბანკების მიმართ არსებული ვალდებულებები (გაგრძელება)**

ბანკების მიმართ არსებული ვალდებულებების განაწილება ვალუტის მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	აშშ დოლარში	ევროში	თურქულ ლირაში	სულ
სხვა ბანკების მიმდინარე ანგარიშები და ერდლიანი დეპოზიტები	218,544	139,202	-	357,746
ბანკებისგან მიღებული სესხები	-	-	694,382	694,382
<b>სულ ბანკების მიმართ არსებული ვალდებულებები</b>	<b>218,544</b>	<b>139,202</b>	<b>694,382</b>	<b>1,052,128</b>

ბანკებისგან მიღებული სესხები 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგებოდა:

ბანკის დასახელება	გაცემის თარიღი	სესხის საკონტრაქტო ვადა	ოდენობა ორიგინალურ ვალუტაში	ბალანსი 2012 წლის 31 დეკემბერს*
სს „თურქეთის იშ ბანკი“	26-დეკ-12	21-იან-13	700,000 ლირა	648,147
სს „თურქეთის იშ ბანკი“	27-დეკ-12	21-იან-13	50,000 ლირა	46,235
<b>სულ ბანკებისგან მიღებული სესხები</b>			<b>750,000 ლირა</b>	<b>694,382</b>

\* ნარჩენი ბალანსი მოიცავს დარიცხულ გადაუხდელ პროცენტს. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები გაშიფრულია 23-ე შენიშვნაში.

**11. კლენტების ანგარიშები**

კლიენტების ანგარიშები შეიცავს მხოლოდ მიმდინარე ანგარიშებს. კლიენტთა მიმდინარე ანგარიშებს არ ერიცხება საპროცენტო შემოსავალი. 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლიენტების ანგარიშები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2012
კერძო კომპანიები	469,017
ფიზიკური პირები	491,492
<b>სულ კლენტების ანგარიშები</b>	<b>960,509</b>

კლიენტების ანგარიშების განაწილება ვალუტის მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარში	აშშ დოლარში	თურქულ ლირაში	ევროში	სულ
კერძო კომპანიები	193,812	274,373	832	-	469,017
ფიზიკური პირები	126,048	364,209	995	240	491,492
<b>სულ კლენტების ანგარიშები</b>	<b>319,860</b>	<b>638,582</b>	<b>1,827</b>	<b>240</b>	<b>960,509</b>

## სს თურქეთის იშ ბანკის ბათუმის ფილიალი

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

დაარსებიდან 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ქართულ ლარში)

#### 11. კლიენტების ანგარიშები (გაგრძელება)

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს გააჩნია 3 კლიენტის ანგარიში, რომელთა ოდენობაც აჭარბებს 100,000 ლარს. აღნიშნული ანგარიშების ჯამური ბალანსი შეადგენს 693,948 ლარს, რაც მთელი კლიენტების ანგარიშების 72%-ს შეადგენს.

#### 12. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2012
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა *	143,145
სხვა ვალდებულებები	20,728
<b>სულ სხვა ვალდებულებები</b>	<b>163,873</b>

\* გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა მოიცავს უკუდაბეგვრის დღგ-სა (88,790 ლარის) და წყაროსთან დასაკავებელ არარეზიდენტის საშემოსავლო გადასახადს (40,523 ლარის), რომელიც ბანკს ეკისრება არარეზიდენტი კომპანიებისგან მიღებული მომსახურების გამო, ამასთანავე მოიცავს ფიზიკური პირის საშემოსავლოსა (11,052 ლარის) და ქონების (2,780 ლარის) გადასახადებს 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

#### 13. სავალდებულო კაპიტალი

სავალდებულო კაპიტალი 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2012
ოდენობა 13 ივლისის მდგომარეობით	-
შენატანი წლის განმავლობაში	12,828,043
<b>ოდენობა 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>12,828,043</b>

საბანკო ლიცენზიის მოსაპოვებლად საქართველოს კანონმდებლობით მოთხოვნილია მინიმალური კაპიტალის ოდენობა, რომელიც შეადგენს 12,000,000 ლარს. ბანკის მფლობელის მიერ განხორციელებული კაპიტალის ზრდის ბოლო ოპერაცია განხორციელდა 2012 წლის დეკემბერში 828,000 ლარის ოდენობით.

## სს თურქეთის იშ ბანკის ბათუმის ფილიალი

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

დაარსებიდან 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ქართულ ლარში)

#### 14. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

წმინდა საპროცენტო შემოსავალი დაარსებიდან 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საპროცენტო შემოსავალი ამორტიზებული ღირებულებით აღიარებულ ფინანსურ აქტივებზე:	2012
საპროცენტო შემოსავალი ფიქსირებულ-განაკვეთიან დეპოზიტებზე	226,635
საპროცენტო შემოსავალი მიმდინარე ანგარიშებსა და ერდლიან დეპოზიტებზე	4,720
<b>სულ საპროცენტო შემოსავალი</b>	<b>231,355</b>
საპროცენტო ხარჯი ამორტიზებული ღირებულებით აღიარებულ ფინანსურ ვალდებულებებზე:	
საპროცენტო ხარჯი ბანკებისგან მიღებულ სესხებზე	(1,194)
<b>სულ საპროცენტო ხარჯი</b>	<b>(1,194)</b>
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>	<b>230,161</b>

ბანკის მიერ მიღებული და გადახდილი პროცენტი დაარსებიდან 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის შესაბამისად შეადგენდა 231,355 ლარსა და 337 ლარს.

#### 15. წმინდა საკომისიო შემოსავალი

წმინდა საკომისიო შემოსავალი დაარსებიდან 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2012
შემოსავალი ფულადი გზავნილებიდან	8,297
შემოსავალი ფულადი ოპერაციებიდან	7,510
სხვა სახის საკომისიო შემოსავალი	1,758
<b>სულ საკომისიო შემოსავალი</b>	<b>17,565</b>
ფულადი ოპერაციების ხარჯი	(2,181)
სხვა სახის საკომისიო ხარჯი	(1,331)
<b>სულ საკომისიო ხარჯი</b>	<b>(3,512)</b>
<b>წმინდა საკომისიო შემოსავალი</b>	<b>14,053</b>

## სს თურქეთის იშ ბანკის ბათუმის ფილიალი

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

დაარსებიდან 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ქართულ ლარში)

#### 16. წმინდა ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან

წმინდა ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან დაარსებიდან 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2012
ვაჭრობით მიღებული ნეტო შემოსავალი	10,077
საკურსო სხვაობებით მიღებული ნეტო ზარალი	(12,373)
<b>წმინდა ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან</b>	<b>(2,296)</b>

#### 17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები დაარსებიდან 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2012
პროფესიული მომსახურება	99,690
ოფისის იჯარა	71,968
რეკლამა	36,195
მივლინება	17,817
კომუნიკაცია	15,628
ტრანსპორტირება	12,459
კომუნალური	10,962
სხვა ხარჯები	17,537
<b>სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები</b>	<b>282,256</b>

#### 18. ხელფასები და თანამშრომელთა სარგებელი

ხელფასები და თანამშრომელთა სარგებელი დაარსებიდან 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2012
ხელფასები	179,830
თანამშრომელთა სხვა სარგებელი	53,816
<b>სულ ხელფასები და თანამშრომელთა სარგებელი</b>	<b>233,646</b>

ძირითადი მმართველი პირების ანაზღაურებასთან დაკავშირებული ინფორმაცია წარმოდგენილია 23-ე შენიშვნაში.

## სს თურქეთის იმ ბანკის ბათუმის ფილიალი

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

დაარსებიდან 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ქართულ ლარში)

#### 19. გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა

გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა დაარსებიდან 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2012
უკუდაბეგვრის დღე არარეზიდენტი კომპანიებისგან მიღებულ მომსახურებაზე	88,790
წყაროსთან დასაკავებელი არარეზიდენტის გადასახადი	40,523
ქონების გადასახადის ხარჯი	2,780
<b>სულ გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა</b>	<b>132,093</b>

#### 20. პირობითი ვალდებულებები და აქტივები

##### სასამართლო დავა

ბანკის ჩვეული საქმიანობის პროცესში დროდადრო ბანკის მიმართ შესაძლოა წარმოიშვას გარკვეული საჩივარი ან სასამართლო დავა. თუმცა დაარსებიდან 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის ბანკი ჩართული არ ყოფილა არანაირ სასამართლო დავაში.

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მსგავსი საჩივრებისა თუ სასამართლო დავების შედეგად წარმოშობილ შესაძლო ვალდებულებას არ ექნება არსებითად უარყოფითი ეფექტი ბანკის ფინანსურ მდგომარეობასა თუ მომავალი საქმიანობის შედეგებზე.

##### ფინანსური პირობითი ვალდებულებები

შეუქცევადი საოპერაციო იჯარის ვალდებულებები 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადასახდელია შემდეგ ვადაში:

	31 დეკემბერი 2012
ერთ წლამდე	125,578
ერთიდან ხუთ წლამდე	302,348
<b>სულ საოპერაციო იჯარის ვალდებულებები</b>	<b>427,926</b>

სს თურქეთის იმ ბანკის ბათუმის ფილიალი ოფისებს ქირაობს საოპერაციო იჯარით. იჯარები ჩვეულებრივ 5 წლიანია, ვადის დასრულების შემდეგ კი არსებობს განახლების შესაძლებლობა.

დაარსებიდან 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის 71,968 ლარი აღიარდა ხარჯად საოპერაციო იჯარებთან დაკავშირებით სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

## სს თურქეთის იმ ბანკის ბათუმის ფილიალი

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

დაარსებიდან 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ქართულ ლარში)

#### 21. ფინანსური ინსტრუმენტები – რისკების მართვა

სხვა ფინანსური ინსტიტუტების მსგავსად, ბანკი დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს ბანკის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს რომ მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც ლიკვიდური ან მოკლვადიანია (სამ თვემდე ვადით) ითვლება, რომ მათი საბალანსო ღირებულება მიახლოებულია მათ რეალურ ღირებულებასთან.

#### ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

დირექტორთა საბჭოს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ბანკის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ორგანიზაციის ფინანსური მხარისთვის.

საბჭოს საერთო მიზანია რომ შექმნას ისეთი პოლიტიკა, რომელიც მიზანმიმართული იქნება რისკების მინიმუმამდე შემცირებისკენ, ბანკის კონკურენტუნარიანობისა და მოქნილობის გაუარესების გარეშე. აღნიშნულ პოლიტიკებთან დაკავშირებული დამატებითი დეტალები წარმოდგენილია ქვემოთ.

საქმიანობის პროცესში ბანკი დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
  - სავალუტო რისკი
  - საპროცენტო განაკვეთის რისკი

#### საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის, ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშე ბანკი დგება სესხების გაცემით და სხვა სახის ოპერაციებით, როდესაც ურთიერთობისას წარმოიშობა ფინანსური აქტივი.

რადგანაც 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს არ აქვს გაცემული სესხი და მისი ფინანსური აქტივები ძირითადად წარმოდგენილია ფულითა და ფულის ეკვივალენტებით, საკრედიტო რისკი არ არის არსებითი. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საანგარიშგებო თარიღისთვის საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა იყო:

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2012
ფული და ფულის ეკვივალენტები (ნაღდი ფულის გარეშე)	5	13,525,978
სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში	6	61,056
სხვა მოთხოვნები	7	15,400
<b>საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა</b>		<b>13,602,434</b>

## სს თურქეთის იშ ბანკის ბათუმის ფილიალი

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

დაარსებიდან 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ქართულ ლარში)

#### 21. ფინანსური ინსტრუმენტები – რისკების მართვა (გაგრძელება)

##### ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა რომ მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ბანკი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილია.

ბანკი ყოველდღიურად ანგარიშობს ლიკვიდურობის კოეფიციენტს სებ-ის მოთხოვნების შესაბამისად. საშუალო ლიკვიდურობის კოეფიციენტის ლიმიტი განსაზღვრულია სებ-ის მიერ. კოეფიციენტი გამოითვლება თვის საშუალო ლიკვიდური აქტივებისა და ლიკვიდური ვალდებულებების შეფარდებით მათ შორისაა ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხები, რომელთა ვადაც 6 თვემდეა და გარესაბალანსო ვალდებულებები 6 თვემდე ვადით. 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნული კოეფიციენტი შეადგენდა 693,79%-ს რაც საკმაოდ მაღალია სებ-ის მიერ განსაზღვრულ გონივრულ მინიმალურ დონეზე.

ლიკვიდურობის ანალიზი წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში. აღნიშნული ინფორმაცია მიღებულია ბანკის ძირითადი მმართველი პირების მიერ.

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობა 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	შენიშვნა	3 თვემდე ვადით	3 თვეზე მეტი ვადით	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	13,910,729	-	13,910,729
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	6	61,056	-	61,056
სხვა მოთხოვნები	7	15,400	-	15,400
<b>სულ ფინანსური აქტივები - 31 დეკემბერი 2012</b>		<b>13,987,185</b>	<b>-</b>	<b>13,987,185</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>				
ვალდებულებები ბანკების მიმართ	10	1,052,128	-	1,052,128
კლიენტების ანგარიშები	11	960,509	-	960,509
სხვა ვალდებულებები	12	20,728	-	20,728
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები - 31 დეკემბერი 2012</b>		<b>2,033,365</b>	<b>-</b>	<b>2,033,365</b>
ფინანსური პირობითი ვალდებულებები	20	34,791	393,135	
<b>წმინდა ლიკვიდურობის გეპი - 31 დეკემბერი 2012</b>		<b>11,919,029</b>	<b>(393,135)</b>	
<b>დაგროვილი ლიკვიდურობის გეპი - 31 დეკემბერი 2012</b>		<b>11,919,029</b>	<b>11,525,894</b>	

მენეჯმენტი თვლის, რომ ბანკს გააჩნია საკმარისი ლიკვიდურობა რათა მოახდინოს საკუთარი საბალანსო და გარე-საბალანსო ვალდებულებების დაფარვა.

## სს თურქეთის იმ ბანკის ბათუმის ფილიალი

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

დაარსებიდან 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ქართულ ლარში)

#### 21. ფინანსური ინსტრუმენტები – რისკების მართვა (გაგრძელება)

##### საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს რისკს რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება დაეცემა ბაზარზე არსებული ფაქტორების ცვლილებების გამო. საბაზრო რისკი წარმოიშობა ბანკის მიერ საპროცენტო განაკვეთთან და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით. ეს არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსისა (სავალუტო რისკი) და საპროცენტო ნანაკვეთების (საპროცენტო განაკვეთის რისი) ცვლილების გამო.

##### სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განსაზღვრულია როგორც რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. მნიშვნელოვანი უცხოური ვალუტების კურსის მერყეობის შედეგად ბანკის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი ნაკადები დგას აღნიშნული რისკის წინაშე. სავალუტო რისკის ზეგავლენა ბანკზე 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	ლარში	დოლარში USD/GEL = 1.6567	ევროში EUR/GEL = 2.1825	ლირაში TRY/GEL = 0.9247	31 დეკემბერი 2012
ფული და ფულის ეკვივალენტები	13,057,935	571,640	149,455	131,699	13,910,729
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	-	60,746	310	-	61,056
სხვა მოთხოვნები	15,400	-	-	-	15,400
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>13,073,335</b>	<b>632,386</b>	<b>149,765</b>	<b>131,699</b>	<b>13,987,185</b>

##### ფინანსური ვალდებულებები

ვალდებულებები ბანკების მიმართ	-	218,544	139,202	694,382	1,052,128
კლიენტების ანგარიშები	319,860	638,582	240	1,827	960,509
სხვა ვალდებულებები	19,381	-	1,347	-	20,728
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>339,241</b>	<b>857,126</b>	<b>140,789</b>	<b>696,209</b>	<b>2,033,365</b>

<b>ღია საბალანსო პოზიცია</b>	<b>12,734,094</b>	<b>(224,740)</b>	<b>8,976</b>	<b>(564,510)</b>	<b>11,953,820</b>
------------------------------	-------------------	------------------	--------------	------------------	-------------------

მომდევნო ცხრილი წარმოადგენს ბანკის მგრძობელობას ქართულ ლართან მიმართებით უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების 10%-იან ზრდასა ან კლებაზე და წარმოადგენს მმართველობის შეფასებას უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილებაზე. მგრძობელობის ანალიზი შეიცავს მხოლოდდამხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს და აკონვერტირებს მათ პერიოდის ბოლოსთვის კურსის 10%-იანი ცვლილებისას. სრული შემოსავლის ანგარიშგებასა და კაპიტალზე კურსის ცვლილების გავლენა ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების მიხედვით 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს:

	დოლარის გავლენა (GEL / USD)		ევროს გავლენა (GEL / EUR)		ლირის გავლენა (GEL / TRY)	
	+ 10%	- 10%	+ 10%	- 10%	+ 10%	- 10%
გავლენა 2012 წლის 31 დეკემბერს	(22,474)	22,474	898	(898)	(56,451)	56,451

ანალიზისას გამოყენებულია დაშვება, რომ ყველა სხვა ცვლადი, მათ შორის საპროცენტო განაკვეთები უცვლელია.

## სს თურქეთის იშ ბანკის ბათუმის ფილიალი

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

დაარსებიდან 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ქართულ ლარში)

#### 21. ფინანსური ინსტრუმენტები – რისკების მართვა (გაგრძელება)

რადგანაც უცხოურ ვალუტაში განთავსებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები მოკლევადიანია (სამ თვემდე ვადით), წარმოშობილია 2012 წლის დეკემბერში და იმის გათვალისწინებითაც, რომ ბანკის ფინანსური აქტივების უდიდესი ნაწილი წარმოდგენილია ფუნქციურ ვალუტაში (ქართულ ლარში), ბანკის მმართველობა მიიჩნევს, რომ გონივრული ზრდა ან კლება უცხოური ვალუტის გაცვლით კურსში არ გამოიწვევს მნიშვნელოვან პოტენციურ ეფექტს ბანკის სრული შემოსავლის ანგარიშგებასა და კაპიტალზე 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

#### საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ბანკის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას აქტივებისა და ვალდებულებების მიღება/დაფარვის ვადების შეუსაბამობით, ასევე იმ შემთხვევაში თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია საპროცენტო განაკვეთის რისკის გავლენა ბანკზე. იგი წარმოაჩენს ბანკის იმ ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ჯამს, რომელთაც შესაბამისად ერიცხებათ საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი. აღნიშნული ფინანსური ინსტრუმენტები მოცემულია საბალანსო ღირებულებით, რაც გონივრული მიახლოებია მათ რეალურ ღირებულებასთან.

	31 December 2012
სულ ფინანსური აქტივები (რომელთაც ერიცხებათ საპროცენტო შემოსავალი)	9,670,598
სულ ფინანსური ვალდებულებები (რომელთაც ერიცხებათ საპროცენტო ხარჯი)	(694,382)
<b>საპროცენტო განაკვეთის მგრძობელობის წმინდა გეპი</b>	<b>8,976,216</b>

ბანკი ახორციელებს საპროცენტო განაკვეთის მგრძობელობის ანალიზს.

მომდევნო ცხრილი წარმოადგენს საბაზრო საპროცენტო განაკვეთების შესაძლო თეორიული ცვლილების მგრძობელობას ბანკის სრული შემოსავლის ანგარიშგებასა და კაპიტალზე 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის, თუ ყველა სხვა ცვლადი დარჩება უცვლელი.

მგრძობელობა	განაკვეთის ცვლილება ლარში		განაკვეთის ცვლილება დოლარში		განაკვეთის ცვლილება ლირაში	
	+1.44%	-1.44%	+1.10%	-1.10%	+0.31%	-0.31%
საპროცენტო შემოსავალზე	61,581	(61,581)	151	(151)	-	-
საპროცენტო ხარჯზე	-	-	-	-	(148)	148
<b>მგრძობელობა წმინდა საპროცენტო შემოსავალზე</b>	<b>61,581</b>	<b>(61,581)</b>	<b>151</b>	<b>(151)</b>	<b>(148)</b>	<b>148</b>

ბანკის ყველა ფინანსური ინსტრუმენტის საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია ხოლო თავად ინსტრუმენტები - მოკლევადიანი (სამ თვემდე ვადით), შესაბამისად მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ საბაზრო საპროცენტო განაკვეთების გონივრული ზრდა ან კლება არ გამოიწვევს მნიშვნელოვან პოტენციურ ეფექტს ბანკის კაპიტალზე.

ისიც უნდა აღნიშნოს, რომ ზემოთ არსებულ ცხრილებში წარმოდგენილი მგრძობელობის ანალიზებს გააჩნიათ შემზღუდავი ფაქტორები და წარმოადგენს ძირითად მაჩვენებელზე ცვლილების ეფექტს, როდესაც მიჩნეულია, რომ სხვა მაჩვენებლები უცვლელია. რეალობაში არსებობს კორელაცია ძირითად მაჩვენებელსა და სხვა ფაქტორებს შორის. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული მგრძობელობის ანალიზები არაა წრფივი, შესაბამისად დიდი ან მცირე ცვლილების ინტერპოლაცია არ უნდა მოხდეს წარმოდგენილი შედეგების მიხედვით.

## სს თურქეთის იმ ბანკის ბათუმის ფილიალი

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

დაარსებიდან 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ქართულ ლარში)

#### 22. კაპიტალის მართვა

ბანკის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- მოახდინოს ბანკის ფუნქციონირებადობის უზრუნველყოფა, ისე რომ ბანკმა გააგრძელოს მფლობელებისთვის უკუგება;
- შეესაბამებოდეს სებ-ის მიერ დადგენილ კაპიტალის მოთხოვნილებებს; და
- ჰქონდეს ადეკვატური უკუგება აქციონერებისთვის.

ბანკი რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას. ბანკი მართავს საკუთარ კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად.

სებ-ის მიერ დადგენილი კაპიტალის ადეკვატურობის შესაბამისობის მონიტორინგი ყოველთვიურად ხორციელდება რეპორტების მეშვეობით გამოთვლებთან ერთად, რომელიც გადაიხედება და ხელმოწერით ავტორიზდება ბანკის უმაღლესი მმართველობის მიერ.

მიმდინარე კაპიტალის მოთხოვნილების მიხედვით, რომელიც სებ-ის მიერაა დადგენილი, ბანკებმა უნდა შეინარჩუნონ საზედამხედველო კაპიტალის ოდენობა გარკვეულ მინიმალურ დონეზე მაღლა. საზედამხედველო კაპიტალი გამოითვლება ბანკის რეპორტებში, სებ-ის მიერ დადგენილი ფორმით და შეადგენს:

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2012
სავალდებულო კაპიტალი	13	12,828,043
მინუს: დაგროვილი ზარალი		(390,959)
მინუს: არამატერიალური აქტივები	8	(12,738)
<b>სულ საზედამხედველო კაპიტალი</b>		<b>12,424,346</b>

ბანკი აკმაყოფილებდა ყველა სავალდებულო კაპიტალის მოთხოვნას პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს.

#### 23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ თანახმად, დაკავშირებულ მხარეებს შეიძლება წარმოადგენდეს:

- ა) მხარე პირდაპირ ან ერთი ან რამდენიმე შუალედური რგოლის საშუალებით არაპირდაპირ აკონტროლებს ბანკს, კონტროლდება ბანკის მიერ ან იმყოფება ერთობლივი კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ კომპანიებს) ბანკში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია რომ შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოპოვება მასზე.
- ბ) მხარე არის ბანკის ან მისი მფლობელის უმაღლესი მმართველი პირი;
- გ) მხარე არის (ა) ან (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (გ) პუნქტში გათვალისწინებულ რომელიმე პირს ან, რომელშიც მნიშვნელოვანი გავლენის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პირები.

**სს თურქეთის იმ ბანკის ბათუმის ფილიალი**

**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

დაარსებიდან 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდისთვის

(ქართულ ლარში)

**23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)**

როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი. ბანკსა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები წარმოდგენილია ქვემოთ:

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	შენიშვნა	2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და პერიოდისთვის დაარსებიდან ამ თარიღამდე		
		მფლობელი	ძირითადი მმართველი პირები	მთლიანი ოდენობა ფინანსურ ანგარიშგებაში
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	48,230	-	13,910,729
ბანკების მიმართ არსებული ვალდებულებები	10	(1,052,128)	-	(1,052,128)
კლიენტების ანგარიშგები	11	-	(13,352)	(960,509)
საპროცენტო ხარჯი	14	(1,194)	-	(1,194)
ხელფასები და თანამშრომელთა სარგებელი	18	-	(84,836)	(233,646)

**24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები**

**სესხების გაცემა**

ბანკმა დაიწყო სესხების გაცემა 2013 წელს, რომელიც გახდება ბანკის ერთ-ერთი მთავარი საქმიანობა. პირველი გაცემული სესხი ოდენობა იყო 1,739,325 ლარი (1,050,000 აშშ დოლარი).

**ახალი დირექტორთა საბჭოს დანიშვნა**

ბანკში დაინიშნა ახალი დირექტორთა საბჭო 2013 წელს.